პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემულია 41-ე წელი
№ 41 (11954)

პარასკევი, 17 თებერვალი, 1961 წ.

ფასი 2 კაპ.

მის აღმატებულებას ჯონ ფ. კენედის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს,

ვაშინგტონი, ამერიკის შეერთებული შტატები

მივიღე თქვენი დეპეშა, რომლითაც გვილოცავთ საბჭოთა კოსმოსური ხომალდის გაშვებას პლანეტა ვენერისაკენ. მადლობას გიძღვნით გამოგზავნილი დეპეშისათვის, რომელშიც მაღალი შეფასება ეძლევა მშვიდობიანი მეცნიერების ამ თვალსაჩინო მიღწევას, და იმისათვის, რომ წარმატება გვისურვეთ კოსმოსის კვლევის ახალ ეტაპზე.

თქვენს სიტყვაში პრეზიდენტის პოსტის დაკავებისას, აგრეთვე კონგრესისადმი 30 იანვრის წერილში თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, თქვით, რომ თქვენი სურვილია საბჭოთა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი ისეთ დარგებში, როგორიც არის ბრძოლა სხვადასხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ. კოსმოსის აფთისება, კულტურისა და ვაჭრობის განვითარება. ჩვენ მოგვწონს ასეთი მიდგომა ამ პრობლემებისადმი და მივესალმებით თქვენს ამ მოსაზრებებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ კაცობრიობის წინაშე მდგომი ამ კეთილშობილური ამოცანების მალე გადაჭრისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნება [illegible] პრობლემის მოწესრიგებით. და ჩვენი სურვილია, რომ თვითეულმა ქვეყანამ ყველი ღონე იხმაროს ამ პრობლემის გადასაჭრელად და [illegible] შორისო კონტროლის დასაწესებლად, რომლის დროსაც [illegible] ბოდა ფარულად და ვერ მოახდენდა აგრესიას. ყველა თანახმაა, რომ განიარაღების პრობლემის გადაჭრა ბევრად დამოკიდებულია საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შეთანხმებაზე. ჩვენ რომ ასეთ შეთანხმებას მივაღწიოთ, ეს დიდი სიხარული იქნება მსოფლიოს ყველა ადამიანისათვის, დიდი სიკეთე იქნება მთელი კაცობრიობისათვის.

ნ. ხრუშჩოვი

1961 წლის 15 თებერვალი.

გავაჩაღოთ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება, მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის მძლავრ აღმავლობასა და აყვავებას!

მიმართვა

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეებისა

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ყველა კოლმეურნისადმი, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშებისადმი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და ყველა მუშაკისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

მღელვარე დღეებს განიცდის ჩვენი დიადი სამშობლო. სულ ცოტა ხნის წინათ ძოსკოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საბრძოლო შტაბის — ლენინური ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც პარტია, საბჭოთა ხალხი შეაიარაღა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობისათვის კვების პროდუქტებისა და მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შექმნის გაშლილი პროგრამით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმი დიდმნიშვნელოვან ნიშანსვეტად შევა ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის აღმავლობისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის ისტორიაში, იმისათვის ბრძოლის ისტორიაში, რომ კიდევ უფრო კარგად, მდიდრულად და ბედნიერად იცხოვროს თვითეულმა საბჭოთა ადამიანმა.

მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის ყურადღება პლენუმის მუშაობის დღეებში მიპყრობილი ჰქონდა კრემლის დიდ სასახლეს. ჩვენს ვრცელ საყვარელ სამშობლოში არ ყოფილა ისეთი ადამიანი, რომ თვალყური არ ედევნებინა პლენუმის მუშაობისათვის. ჩვენ ყველანი უდიდესი ყურადღებით ვსწავლობდით პლენუმის პროგრამულ დოკუმენტებს — ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის თეზისებს და სიტყვას, დადგენილებებს „1960 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სახელმწიფო გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ და „კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შედეგების შესახებ“.

ჩვენ, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, უდიდესი სიხარულით შეგხვდით ცნობას იმის შესახებ, რომ პლენუმმა გადაწყვიტა მოიწვიოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა.

ჩვენი თათბირი, რომელიც შეიკრიბა იმ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია მხურვალე მისწრაფებით წარმატებით განახორციელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, დიდი, სასიხარულო მოვლენაა ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში: თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ლენინის ერთგულმა მოწაფემ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს და მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწემ, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის დაუცხრომელმა მებრძოლმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა.

ძვირფასი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით ჩვენმა თათბირმა განიხილა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან. ნ. ს. ხრუშჩოვის სერიოზული კრიტიკული შენიშვნები და ძვირფასი რჩევა-დარიგება დაგვეხმარა გამოგვევლინებინა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვანი რეზერვები, დაგვესახა იმ ახალი მიჯნების მიღწევის გზები, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა განსაზღვრა.

ჩვენ, ამიერკავკასიის სოფლის მშრომელებისა და ყველა ხალხის წარმომადგენლები, პირველად როდი შევკრებილვართ, რათა ერთად განვიხილოთ ჩვენი საერთო ამოცანები, რათა საერთო ღონისძიებებით შეუუდგეთ მუშაობას. ოთხი ათეული წელია საბჭოთა ხალხების ერთსულოვან ოჯახში ცხოვრობენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელები.

მიჰყვებიან რა დიდი ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას, ამიერკავკასიის მშრომელებმა ყველა საბჭოთა ხალხთან ერთად, დიდი რუსი ხალხის მეთაურობით უმაგალითო აყვავებას მიაღწიეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში.

კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების მეოხებით მეფის რუსეთის განაპირა მხარეები, რომლებიც წარსულში ჩამორჩენილი იყვნენ, დიდად განვითარებული ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკები გახდნენ. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში შექმნილია მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ვრცელი ბამბის მინდვრები და ჩაის პლანტაციები და სხვა ძვირფასი ტექნიკური კულტურები, აყვავებული ბაღები და ვენახები აძლევენ სამშობლოს მრავალგვარ კვების პროდუქტებს მოსახლეობისათვის და ნედლეულს მრეწველობისათვის.

ჩვენ, სოფლის მშრომელები, ამიერკავკასიის ხალხთა წარმომადგენლები, დიადი და ურღვევი მეგობრობით შეკავშირებულნი, შევიკრიბენით რა თბილისში სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე, სიყვარულისა და მადლობის სიტყვებით მივმართავთ სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა მთავრობას სოფლის მეურნეობის მშრომელებზე, ჩვენი რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობაზე მუდმივი ზრუნვისათვის.

ჩვენს თათბირზე მოვედით გარკვეული მიღწევებით სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში.

სწრაფი ტემპებით იწყო წინსვლა ჩვენი რესპუბლიკების სოფლის მეურნეობამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული სექტემბრის (1953 წ.) პლენუმის შემდეგ, როცა სოფლის მშრომელებმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებულ ნამდვილად რევოლუციურ ღონისძიებათა საფუძველზე, გაჩაღეს დაუცხრომელი ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

და აი შედეგები.

უკანასკნელ შვიდწლედში წინა შვიდ წელიწადთან შედარებით საქართველოში სახელმწიფოს მიეყიდა მეტი: 347.400 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 407.900 ტონა ყურძენი, 283.500 ტონა კურკოვანი და თესლოვანი ხილი, 134.600 ტონა ხორცი და 301.000 ტონა რძე.

1960 წელს საქართველოში რეკორდული რაოდენობით მოიკრიფა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 156.800 ტონა. სახელმწიფოს მიეყიდა 80.500 ტონა ხილი, ესე იგი 5.500 ტონით მეტი, ვიდრე წინა წელს. საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს აგრეთვე ციტრუსების, დაფნის ფოთლისა და სხვა პროდუქტების წარმოებაში. მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა სოფლის მეურნეობის ჯერ კიდევ ჩამორჩენილი დარგის — საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობაში. გასულ წელს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიეყიდა 22.000 ტონა ხორცი, 9.200 ტონა რძე, დაახლოებით 5 მილიონი ცალი კვერცხი, 250 ტონა მატყლი.

წინა შვიდ წელიწადთან შედარებით უკანასკნელ 7 წელიწადში აზერბაიჯანში სახელმწიფოს მიეყიდა მეტი: ბამბა — 799 ათასი ტონა, ბოსტნეული — 221 ათასი ტონა, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 17 ათასი ტონა, თამბაქო — 26 ათასი ტონა, ხორცი — 138 ათასი ტონა, რძე 351 ათასი ტონა, მატყლი — 23 ათასი ტონა, კვერცხი 133 მილიონი ცალი.

გასულ წელს აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდეს 5 ათას ტონაზე მეტი მარცვლეული, დაახლოებით 6 ათასი ტონა ბოსტნეული, 1.235 ტონა თამბაქო, 545 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, 6 ათასი ტონა ხორცი, 8 ათასი ტონა რძე და 260 ტონა მატყლი, დაახლოებით 10 მილიონი კვერცხი. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს თითქმის 70 ათასი ტონით მეტი ნედლი ბამბა, ვიდრე 1959 წელს.

უკანასკნელ შვიდ წელიწადში სომხეთში წინა შვიდ წელიწადთან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა მეტი: ნედლი ბამბა 15,6 ათასი ტონა, თამბაქოს ფოთოლი — 17,6 ათასი ტონა, შაქრის ჭარხალი — 234 ათასი ტონა, ყურძენი — 261 ათასი ტონა, ხილი — 32,9 ათასი ტონა, ხორცი — 74,1 ათასი ტონა, რძე — 265,1 ათასი ტონა, მატყლი — 11,3 ათასი ტონა, კვერცხი — 81 მილიონი ცალი.

1960 წელს რესპუბლიკის მეჭარხლეებმა და მებამბეებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. წარმოებულა და სახელმწიფოს მიეყიდა 110.300 ტონა შაქრის ჭარხალი, ე. ი. შესრულებულია შვიდწლედის უკანასკნელი წლისათვის დაწესებული დავალება. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ნედლი ბამბის წარმოებისა და მიყიდვის დავალება, დაწესებული 1965 წლისათვის. სახელმწიფოს მიეყიდა 11.700 ტონა ნედლი თამბაქო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10.500 ტონისა.

სომხეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს აგრეთვე მეცხოველეობის განვითარებაში. ხორცის მიყიდვის 1960 წლის გეგმა შესრულდა 112 პროცენტით, რძისა — 105 პროცენტით, კვერცხისა — 102,5 პროცენტით.

და მაინც მიღწეული წარმატებები ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაგვაკმაყოფილებს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ტემპები ჩამორჩება მოსახლეობის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებას სასურსათო საქონელზე, და პირველ რიგში ხორცზე, რძეზე, კარაქზე. უფრო მეტიც, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის განვითარებაში, როგორც ეს მთელი დამაჯერებლობით დაგვანახვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა, სერიოზული ნაკლოვანებებია.

საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, როგორც აღნიშნულია ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებაში, ცუდად იყენებენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების არსებულ დიდ შესაძლებლობებს, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა ნელა იზრდება, დიდია ცხვრის სიკვდილიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა კვლავ მცირეა, ძალიან ცოტას აწარმოებენ საკვებს, თუმცა ხელსაყრელი კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა მოიყვანონ სიმინდისა და სხვა საკვები კულტურების უხვი მოსავალი, წელიწადში ორ-ორი მოსავალი მოიყვანონ მნიშვნელოვან ფართობებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ჩვენი რესპუბლიკები სამართლიანად გააკრიტიკეს იმისათვის, რომ კარგი მდგომარეობა არა გვაქვს მეცხვარეობაში, რაშაც გამოიწვია ცხვრის სულადობის დიდი სიკვდილიანობა. ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი მეცხვარეების ღირსების საქმეა არ გაიმეორონ გასული წლის შეცდომები, მთლიანად შეინარჩუნონ მოზარდეული, აღმოფხვრან ცხვრის სიკვდილიანობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა განიხილა საქმის ვითარება ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში, კერძოდ ჩვენს რესპუბლიკებში, და სავსებით სამართლიანად გაგვაკრიტიკა, დასახა ამოცანები 1961 და უახლოესი წლებისათვის, მიგვითითა, თუ რა მდიდარი შესაძლებლობანი და რეზერვები აქვთ ჩვენს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილება, ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიული გამოსვლა პლენუმზე და ნიკიტა სერგის-ძის სიტყვა ჩვენს თათბირზე, რომლებშიც ესოდენ ღრმად არის ნაჩვენები მარცვლეული მეურნეობის აღმავლობის, საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარების რეზერვები, გვიჩვენებენ ნათელ ლენინურ გზას, რომლითაც უხდა იაროს თვითეულმა რესპუბლიკამ, რათა გააძლიეროს ბრძოლა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის. ჩვენ ერთსულოვნად ვიწონებთ და სავსებით სწორად მიგვაჩნია ჩვენი პარტიის გეზი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისაკენ, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა შეიმუშავა.

სახელმწიფოს მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილებისათვის, როგორც ეს პლენუმმა განსაზღვრა, საჭიროა უახლოეს წლებში მარცვლეულის შესყიდვა ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ავიყვანოთ 4 მილიარდ 200 მილიონ ფუთამდე, ხორცისა — 13 მილიონ ტონამდე, რძისა — 50 მილიონ ტონამდე. ამ უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანის შესრულებაში თავიანთ წვლილს შეიტანენ ამიერკავკასიის რესპუბლიკებიც. კვლავაც განავითარებენ რა მებამბეობას, მეჩაიეობას, მევენახეობას, მებაღეობას, მებოსტნეობასა და სხვა ტექნიკურ კულტურებს, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ყველა შესაძლებლობა და პირობა აქვთ უახლოეს წლებში მიჰყიდონ სახელმწიფოს ყოველწლიურად: საქართველოს სს რესპუბლიკამ — 15 მილიონი ფუთი მარცვლეული, 75.000 ტონა ხორცი და 280.000 ტონა რძე; აზერბაიჯანის სს რესპუბლიკამ — 12 მილიონი ფუთი მარცვლეული, 83.000 ტონა ხორცი და 260 ათასი ტონა რძე; სომხეთის სს რესპუბლიკამ — 4 მილიონი ფუთი მარცვლეული, 43 ათასი ტონა ხორცი და 200 ათასი ტონა რძე.

ჩვენი საპატიო, პასუხსაგები მოვალეობაა წელს ავიღოთ ახალი მიჯნები მარცვლეულის, ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის, ბამბის, ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს წარმოებაში. **საქართველოს** შეუძლია და კიდევაც უნდა მიჰყიდოს სახელმწიფოს 1961 წელს 10 მილიონი ფუთი მარცვლეული, 60.000 ტონა ხორცი, 145.000 ტონა რძე, 160.000-165.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 150.000 ტონა ყურძენი, 85.000 ტონა ხილი, 29.000 ტონა ციტრუსები, 1.200 ტონა დაფნის ფოთოლი, 18.000 ტონა თამბაქო, 4.200 ტონა აბრეშუმის პარკი, 90.000 ტონა ბოსტნეული, 22.000 ტონა კარტოფილი; **აზერბაიჯანს** — 8 მილიონი ფუთი მარცვლეული, 380.000 ტონა ბამბა, 65.000 ტონა ხორცი, 150.000 ტონა რძე, 10.000 ტონა მატყლი, 87.000 ტონა ყურძენი, 13.000 ტონა თამბაქო, 5.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი,

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალედ მოგესალმებიან თქვენ, გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, რომლის დამსახურებამ მათემატიკური მეცნიერების წინაშე მსოფლიო აღიარება ჰპოვა, დაბადების 70 და მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლის შესრულებასთან დაკავშირებით.

თქვენი ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მარტო ქართული, არამედ მთელი საბჭოთა მეცნიერების და, განსაკუთრებით მათემატიკური მეცნიერების განვითარებასთან, მის უმაგალითო მიღწევებთან.

განსაკუთრებით დიდია თქვენი დამსახურება საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში. თქვენი აღზრდილი მაღალკვალიფიციური მეცნიერული და ტექნიკური კადრები დღეს წარმატებით შრომობენ კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

სათავეში უდგახართ რა ქართული საბჭოთა მეცნიერების ცენტრს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას მისი დაარსების პირველი დღიდანვე, უკვე 20 წელზე მეტია თქვენი ხელმძღვანელობითა და თქვენი უშუალო მონაწილეობით რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები წარმატებით წყვეტენ თანამედროვე მეცნიერების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

საბჭოთა ადამიანები გიცნობენ და გაფასებენ თქვენ, როგორც დიდ მეცნიერს, სსრ კავშირის ყველა მოწვეული უმაღლესი საბჭოს ღირსეულ დეპუტატს, სოციალისტური შრომის გმირს, სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ერთ-ერთ აქტიურ მებრძოლს.

გისურვებთ, ძვირფასო ნიკოლოზ ივანეს-ძე, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ წარმატებებს ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს სასახელოდ და საკეთილდღეოდ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

1961 წლის 16 თებერვალი.

დეკეშა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს

ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილს

ძვირფასო ნიკოლოზ ივანეს-ძე! სულით და გულით გილოცავთ თქვენ, გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს, შესანიშნავ მოქალაქეს, მეგობარსა და ამხანაგს სახელოვან იუბილეს — დაბადების 70 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავს.

გულწრფელად ვნანობ, რომ შესაძლებლობა არა მაქვს დავესწრო თქვენს იუბილეს და გავიზიარო საზოგადოებრიობის, ყველა მშრომელის უდიდესი მადლობა და სიყვარული თქვენდამი.

გისურვებთ, ძვირფასო ნიკოლოზ ივანეს-ძე, კიდევ ხანგრძლივ, მრავალი წლის ბედნიერ სიცოცხლესა და ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი დიადი სამშობლოს, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სოციალისტური მეცნიერების საკეთილდღეოდ.

კარგად იყავით და იცოცხლეთ დიდხანს.

ვასილ მეჟავანაძე.

ქალაქი მოსკოვი.
1961 წლის 16 თებერვალი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით და მრავალი წლის ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნიკოლოზ ივანეს-ძე **მუსხელიშვილი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1961 წლის 16 თებერვალი.

ხალხისა და მეცნიერების სამსახურში

აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის იუბილე

შესრულდა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრის, ბულგარეთისა და პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიების უცხოელი წევრის, სოციალისტური შრომის გმირის, ორგზის სტალინური პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილის დაბადების 70 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავი. საბჭოთა მეცნიერების უდიდესი წარმომადგენლის ცხოვრების ეს ღირსშესანიშნავი თარიღი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნეს საქართველოს მშრომელებმა. მათთან ერთად კი ჩვენი ქვეყნის მთელმა მეცნიერულმა საზოგადოებრიობამ.

16 თებერვალს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საზეიმო საიუბილეო საღამო. აქ შეიკრიბნენ საქართველოს დედაქალაქის მეცნიერული სამყაროს გამოჩენილი წარმომადგენლები. დამსწრეთა შორის დაინახავდით ჰაღარით მოსილ მეცნიერებს — ქართული მეცნიერების უხუცეს მოღვაწეებს, რომლებიც ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილთან ერთად შტურმით იღებდნენ მეცნიერული აზრის მწვერვალებს, ახალგაზრდობას, რომელმაც მისი ხელმძღვანელობით გაიკაფა გზა მეცნიერებაში. იუბილარის მოსალოცად აქ მოვიდა აგრეთვე მრავალი სტუმარი — მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სტუდენტები, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული სტუმრები.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ იუბილარს — აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილს. მასთან ერთად პრეზიდიუმში ადგილები დაიკავეს ამხანაგებმა **ვ. დ. ჯავახიშვილმა, გ. ს. ძოწენიძემ, პ. ვ. კოვანოვმა, გ. ი. ქაღაგიძემ, გ. ნ. ჯიბლაძემ, ფ. დ. დუმბაძემ, მ. ი. კუტავამ, მ. მ. ლელაშვილმა, გ. ა. გეგეშიძემ, გ. ი. ჩოგოვაძემ, ი. გ. რთველიაშვილმა, ე. ა. შეკარდნაძემ,** ცნობილმა მეცნიერებმა, დიდ სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებმა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა გ. ნ. ჯიბლაძემ.

ადამიანის ცხოვრებაში, — თქვა ამხ. გ. ნ. ჯიბლაძემ, — ხანგრძლივი შრომისა და ბრძოლის შემდეგ დგება ხოლმე მომენტი, როცა საზოგადოება, მთელი ხალხი თავის თავს ვალდებულად მიიჩნევს აღნიშნოს ამა თუ იმ პიროვნების, გამოჩენილი მოღვაწის, თავდადებული გმირისა თუ ხელოვანის ამაგი და ამით პატივი სცეს მისთვის გარჯილ შვილს, თუნდაც ეს უკანასკნელი დამსახურებულ საზღაურს არ მოითხოვდეს.

ჩვენი დღევანდელი შეხვედრა ერთი ასეთი მკაფიო ფურცელია ქართველი ხალხის ისტორიაში, ხოლო ადამიანი, რომლის პატივსაცემადაც აქ შეკრებილვართ, არა მარტო ქართული, არამედ, მთელი საბჭოთა მეცნიერების გამოჩენილი წარმომადგენელი, მსოფლიო სახელის მქონე მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ჩვენი ძვირფასი იუბილარი ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილია.

როცა თვალს გადაავლებთ ნიკო მუსხელიშვილის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის განვლილ გზას, თქვენ უნებლიეთ გაიფიქრებთ: რამდენი უნდა ემუშავა მას, რამდენი ძალა, ნიჭი, ენერგია უნდა დაეხარჯა, რამდენი დღე და ღამე გაეცლოთ ნებისა თავაუღებელ შრომაში. რომ ასეთი შარავანდედით, ასე სახელმოხვეჭილად, ასე ნათელი სახითა და კრისტალური სისპეტაკით წარმდგარიყო დღეს მისი საყვარელი ხალხის, საბჭოთა საზოგადოებრიობისა და მეცნიერული ფორუმის წინაშე.

ნიკო მუსხელიშვილის პიროვნებაში ჰარმონიულად არის ხორცშესხმული ნაბდვილად დიდი მეცნიერისათვის დამახასიათებელი უბრალოება, თავმდაბლობა და ჰუმანური დამოკიდებულება ადამიანებისადმი. არასოდეს მას წინ არ წამოუწევია რესპექტაბელობა და არასოდეს არ გამხდარა ამ უკანასკნელისაგან მოსალოდნელი ცდუნების ობიექტი, კომუნისტს, საბჭოთა მოქალაქის, საბჭოთა მეცნიერის საუკეთესო თვისებანი ნიკო მუსხელიშვილის არსებაში ისე ბედნიერად შეთავსდა, რომ მან ნამდვილად დაიმსახურა მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის, მთელი ხალხის, ახლო მეგობრებისა და ამხანაგების უანგარო პატივისცემა.

ჩვენ ვამაყობთ, რომ ქართულ საბჭოთა მეცნიერებას სათავეში უდგას და ათეული წლებია ხელმძღვანელობს, შთაგონებს, წარმართავს ისეთი მკვეთრად გამოკვეთილი ფიგურა, სახელოვანი მეცნიერი და შთაგონებული მოღვაწე, ადამიანი და რჩეული მოქალაქე, როგორიც პრეზიდენტი ნიკო მუსხელიშვილია.

ჩვენ ვამაყობთ იმ მაღალი შეფასებით, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას მოპოვებული აქვს მთელ მსოფლიოში, პირველ ყოვლისა იმ კვალიფიკაციით, რომელიც მას ამას წინათ მისცა საქართველოში სტუმრად ჩამოსულმა თანამედროვეობის დაუღალავმა მეძიებარმა, მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერების მებაირაზტრემ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მეთაურმა დიდმა ჰუმანისტმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბედნიერია საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც დაარსებიდან დღემდე ოცი წლის მანძილზე უცვლელად ხელმძღვანელობს ადამიანი, რომლის უზადო მეცნიერული ავტორიტეტი ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში და აღიარებულია საერთაშორისო მასშტაბით.

მსოფლიო მეცნიერებაში უდიდესი წვლილის შემტანი მისი პირველხარისხოვანი მათემატიკური გამოკვლევები, რომლებმაც დიდი ხანია საერთაშორისო აღიარება ჰპოვეს, ბრწყინვალე ტალანტთან ერთად ჭეშმარიტად თავდადებული შრომის შედეგია და ოქროს ვარსკვლავი, ნაკვალევთან და ურთულესთან ერთად, რომელიც მის მკერდს ამშვენებს, სიმბოლურად ღაღადებს, რომ ნიკო მუსხელიშვილი დამსახურებულად აღიარებული სოციალისტური შრომის გმირია.

ამ დიდმა შრომამ, დიდმა საზოგადოებრივმა

(დასასრული მე-3 გვერდზე).

მიმართვა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეებისა

(დასასრული)

33.000 ტონა ხილი, 87.000 ტონა ბოსტნეული, 3.200 ტონა აბრეშუმის პარკი; **სომხეთს** — 1.830 ათასი ფუთი მარცვლეული, 38.000 ტონა ხორცი, 110.000 ტონა რძე, 35.000 ტონა ბამბა, 95.000 ტონა ყურძენი, 20.000 ტონა ხილი, 12.000 ტონა თამბაქო, 110.000 ტონა შაქრის ჭარხალი, 48 მილიონი ცალი კვერცხი, 75.000 ტონა ბოსტნეული, 20.000 ტონა კარტოფილი.

მარცვლეულის წარმოების მკვეთრი აღმავლობის მიზნით 1961 წელსვე უნდა მივიღოთ უხვმოსავლიან ნათესებში სიმინდი საქართველოს სს რესპუბლიკაში 60.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერი მარცვლად, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის 25.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 35 ცენტნერი.

ამ დავალებათა რეალობაა ის, რომ მხარი გავუსწოროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეებს, ნ. ს. ხრუშჩოვის ხატოვანი თქმით, „ჩვენს შუქურებს“, რომლებიც გვიჩვენებენ სოფლის მეურნეობის სანიმუშოდ გაძღოლის, დიდი ნაყოფიერების გზას. ჩვენში ცოტა როდია ისეთი რგოლი, ბრიგადა და მთელი მეურნეობებიც კი, რომელთა მაჩვენებლები რამდენჯერმე აღემატება რაიონის, ოლქის, რესპუბლიკის მაჩვენებლებს.

საქართველოს სსრ გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ შარშან 180 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 69 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. ეს ერთიორად და მეტად აღემატება რაიონის მაჩვენებლებს და ოთხჯერ მეტია რესპუბლიკის საშუალო მოსავლიანობაზე. და რამდენია საქართველოში ისეთი ბრიგადა, რგოლი და მოწინავე, რომლებსაც ყოველწლიურად გაცილებით მეტი სიმინდის მოსავალი მოჰყავთ, ვიდრე სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობას. სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის მექანიზატორმა ზაქარია არჩევნიშვილმა ვალდებულება იკისრა განახორციელოს სიმინდის თესვა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაცია 100 ჰექტარზე და მოიყვანოს საშუალოდ ერთ ჰექტარზე 75 ცენტნერი მარცვალი სიმინდი, 500 ცენტნერი სასილოსე მასა, განახორციელოს შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია კოლმეურნეობის მერძეველობისა და მეღორეობის ფერმებში.

ბაბაევენ რა ჩუმლაყის კოლმეურნეობის გამოცდილებას, გურჯაანის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელებმა გადაწყვიტეს წელსვე გაფართოონ სიმინდის ნათესი 300 ჰექტარით და სიმინდის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე გაადიდონ 47 ცენტნერამდე ნაცვლად 29,3 ცენტნერისა 1960 წელს. სიმინდის მთელი ნათესი 4.000 ჰექტარი ფართობიდან 2.200 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 60 ცენტნერი.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ცოტა როდია ისეთი მეურნეობა, რომლებსაც მოჰყავთ სიმინდის კარგი მოსავალი, და ბევრია მოწინავე მესიმინდე, რომლებიც ამ ძვირფასი კულტურის რეკორდულ მოსავალს იღებენ. ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის კოლმეურნეობის მესიმინდემ კოტე სანდუხაძემ 1960 წელს ერთ ჰექტარზე მიიღო 169 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ჩოქოლი ქვაჩახიამ — 140 ცენტნერი ჰექტარზე.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ 1960 წელს საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მიიღო 3.272 კილოგრამი რძე, ახალქალაქის რაიონის სოფელ ხულგუმოს კოლმეურნეობამ — 2.991 კილოგრამი.

თვითეულ ძროხაზე 4.000 კილოგრამზე მეტი რძე მიიღეს მწველავებმა მეხპულე ბალაძემ (ბათუმის რაიონი), მარო ჩიტაურმა (წითელწყაროს რაიონი), მანანა ლონდრიშვილმა (გურჯაანის რაიონი).

სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ბრიგადის ბრიგადირმა გიორგი ჩალაბაშვილმა საშუალოდ თვითეულ ცხვარზე მიიღო 4,4 კილოგრამი მატყლი და, გამოიყენა რა აღრეული შემჭიდროებული დოლი, წელიწადში საშუალოდ ყოველ 100 ნერბზე მიიღო 150 ბატკანი.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეღორემ დავით სეფიაშვილმა, რომელმაც იკისრა ვალდებულება 1960 წელს გაესუქებინა და სახელმწიფოსათვის მიეყიდა 1.000 სული ღორი, ღირსეულად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება.

აზერბაიჯანის სსრ მირ-ბაშირის რაიონის კოლმეურნეობებმა საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მოკრიფეს დაახლოებით 21 ცენტნერი ბამბა, ხოლო ნარიმანოვის სახელობის კოლმეურნეობამ — 39 ცენტნერი.

ბელაქნის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ შარშან 538 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღო 42 ცენტნერი სიმინდის მარცვალი და 800 ცენტნერი მწვანე მასა. ზაქათალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ სიმინდის მარცვლის მოსავლიანობა თვითეულ ჰექტარზე 50 ცენტნერამდე აიყვანა, ხოლო მწვანე მასისა — 1.200 ცენტნერამდე.

მასალის რაიონის კოლმეურნეობა „პრავდამ“ 100 ჰექტარ საკარგულებზე გადაანგარიშებით ხორცის წარმოება აიყვანა 84 ცენტნერამდე, რძისა — 510 ცენტნერამდე.

სომხეთის სსრ არტაშატის რაიონის სოფელ კახცრაშენის კოლმეურნეობის მერგოლურმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნოემი ეღიაზარიანმა 6,5 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 1960 წელს საშუალოდ მიიღო 182 ცენტნერი ყურძენი.

გორისის რაიონის სოფელ ხნძორესკის კოლმეურნეობის მწყემსმა მელიქ ტუნიანმა 1960 წელს 369 ნერბიდან მიიღო 470 ბატკანი, ანუ ყოველ 100 ნერბზე 127 ბატკანი; საშუალოდ თვითეულ ცხვარზე მიღებულ იქნა 5,4 კილოგრამი მატყლი.

რესპუბლიკის წარჩინებულმა მწველავმა, შაუმიანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა აშხენ ავეტისიანმა 1960 წელს თვითეულ ძროხაზე (იგი 12 ძროხას უვლიდა) მიიღო 5.823 კილოგრამი რძე.

ახურიანის რაიონის სოფელ ახურიკის კოლმეურნეობის მერგოლურმა სედა სარქისიანმა შარშან შაქრის ჭარხლის პლანტაციების ყოველ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 776 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რაიონებისა და მეურნეობების მშრომელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პასუხად 1961 წლისათვის კისრულობენ ვალდებულებებს:

საქართველოს სსრ

მოკრიფონ და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდონ: მახარაძის რაიონში — 2.430 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 2.600 ტონა; ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობამ იკისრა ვალდებულება 115 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 6.000 კილოგრამი და სახელმწიფოს მიჰყიდოს სულ ცოტა 700 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი; გეგეჭკორის რაიონის სოფელ თამაკონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე ჩაის მკრეფავი მაყვალა გვილავა კისრულობს ვალდებულებას 0,2 ჰექტარ ნაკვეთზე, რომელსაც უვლის, მოკრიფოს 4.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი; მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის მერგოლური ტატიანა ჩხაიძე კისრულობს რგოლისათვის მოსავლელად მიჩენილი 4 ჰექტარი პლანტაციის ყოველ ჰექტარზე მოკრიფოს 12.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო ნახევარ ჰექტარ ფართობზე, რომელსაც თვითონ უვლის — მიიღოს 12.500 კილოგრამი.

გურჯაანის რაიონში — სახელმწიფოს მიჰყიდონ 21.000 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 19.000 ტონისა. თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის ინგილოსის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა 160 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 80 ცენტნერი ყურძენი და სახელმწიფოს მიჰყიდოს სულ ცოტა 1.250 ტონა.

გორის რაიონის სოფელ ქვეშის კოლმეურნეობის ბრიგადირმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მონაწილემ მიხეილ რჩეულიშვილმა ვალდებულება იკისრა ბრიგადისათვის მოსავლელად მიჩენილი 12 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 140 ცენტნერი ხილი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის სოფელ ღმენისის კოლმეურნეობის ბრიგადირმა გრიგოლ საჩკაევმა ვალდებულება იკისრა ბრიგადისათვის მოსავლელად მიჩენილი 16 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 250 ცენტნერი ხილი.

გალის რაიონმა ვალდებულება იკისრა სამარცვლედ დათესოს სიმინდი 4.500 ჰექტარ ფართობზე, აქედან 2.100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 60 ცენტნერი სიმინდის მარცვალი. იმავე რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა 150 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს სულ ცოტა 60 ცენტნერი სიმინდის მარცვალი.

მარნეულის რაიონმა ვალდებულება იკისრა 4.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს სულ ცოტა 60 ცენტნერი სიმინდის მარცვალი.

რესპუბლიკის მოწინავე მესიმინდეებმა მ. გურაბანიძემ, ჩ. ქვაჩახიამ, ა. ბალუხაშვილმა, დ. მღებრიშვილმა, დ. მახარაძემ, მ. გოგუაძემ, ს. პაპიაშვილმა, შ. ბელქანიამ, გ. ბედიამ, შ. ფარემუზოვმა, ა. კვირიკაშვილმა, დ. ახობაძემ, ა. გრიგალაშვილმა და ბევრმა სხვამ ვალდებულება იკისრეს ყოველ ჰექტარზე მიიღონ 100-170 ცენტნერი სიმინდის მარცვალი.

თეთრი წყაროს რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს მიჰყიდონ სახელმწიფოს 1,5-ჯერ მეტი ხორცი, ვიდრე გათვალისწინებულია გეგმით; ამასთანავე გაადიდონ ყველა სახეობის პირუტყვის სულადობა.

წალკის რაიონმა ვალდებულება იკისრა 2.600 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 115 ცენტნერი კარტოფილი.

ბოგდანოვკის რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ვალდებულებას კისრულობენ თვითეულ ძროხაზე მიიღონ 2.100 კილოგრამი რძე და სახელმწიფოს მიჰყიდონ 7.400 ტონა რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.300 ტონისა.

მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავმა დოდო ქიტუაშვილმა გადაწყვიტა თვითეულ ძროხაზე (იგი 10 ძროხას უვლის) მიიღოს 6.000 კილოგრამი რძე. სართიჭალის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავმა მერი კვაჭანტირაძემ ვალდებულება იკისრა თვითეულ ძროხაზე (იგი 25 ძროხას უვლის) მიიღოს 6.000 კილოგრამი რძე.

სამგორის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის მეფრინველემ ქეთო ერეკოტაშვილმა გადაწყვიტა მოუაროს 12 ათას ქათამს და მიიღოს მათგან 2 მილიონი ცალი კვერცხი.

აზერბაიჯანის სსრ

მირ-ბაშირის რაიონში — მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 20.000 ტონა ნედლი ბამბა, სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმა შეასრულონ 20 პროცენტის, ხორცისა — 25 პროცენტის, მატყლისა — 10 პროცენტის გადამეტებით. 500 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 45 ცენტნერი სიმინდის მარცვალი და 800 ცენტნერი მწვანე მასა.

ზაქათალის რაიონში — გაადიდონ სიმინდის ფართობები და აიყვანონ მისი ნათესები 5.000 ჰექტარამდე, რაც 1.000 ჰექტარით მეტია შარშანდელთან შედარებით, საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 45 ცენტნერი მარცვალი და სულ ცოტა 750 ცენტნერი მწვანე მასა. 1.600 ჰექტარ სიმინდის ნათესს მოემსახურება კომპლექსური მექანიზაციის შვიდი ბრიგადა, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ მკვეთრად ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება და შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება.

მასალის რაიონში — მიჰყიდონ სახელმწიფოს 1,5-ჯერ მეტი ხორცი, რძე, კვერცხი და ბოსტნეული, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული, ხოლო ჩაის მწვანე ფოთლის მიყიდვის დავალება შეასრულონ 20 პროცენტის გადაჭარბებით. რაიონის კოლმეურნეობები თვითეულ ძროხაზე ჩადებენ 12 ტონა სილოსს. ყოველ 100 ჰექტარ საკარგულებზე აწარმოებენ 50 ცენტნერ ხორცსა და 200 ცენტნერ რძეს.

ასტრახანბაზარის რაიონის კოლმეურნეობა „წითელმა პარტიზანმა“ იკისრა ურწყავის პირობებში 2.860 ჰექტარი მარცვლეული კულტურების ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 19 ცენტნერი, ხოლო 150 ჰექტარი სიმინდის ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე სულ ცოტა 25-30ცენტნერი მარცვალი და 350-400 ცენტნერი მწვანე მასა. კოლმეურნეობები სახელმწიფოს მიჰყიდიან გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 1,4-ჯერ მეტ ხორცს, 1,6-ჯერ მეტ რძეს, 1,8-ჯერ მეტს კვერცხს.

შემახის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობამ — 6.200 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 110 ფუთი მარცვალი და სახელმწიფოს მიჰყიდოს სულ ცოტა 60 ათასი ფუთი პური. თვითეულ ძროხაზე მიიღოს სულ ცოტა 1.600 კილოგრამი რძე და სახელმწიფოს მიჰყიდოს 380 ტონა ხორცი, 750 ტონა რძე, 52 ტონა მატყლი და 1.500 ტონა ყურძენი.

ყაზახის რაიონის კოლმეურნეობა „კომინტერნის“ კომპლექსური მექანიზაციის სატრაქტორო-მემინდვრეობის ბრიგადამ (ბრიგადირი აჯან ჯაფაროვი) — 100 ჰექტარი ბამბის ნათესის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 40 ცენტნერი ნედლი ბამბა და 100 ჰექტარი სიმინდის ნათესის თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერი მარცვალი და 800 ცენტნერი მწვანე მასა, შეამციროს ცენტნერი ბამბის თვითღირებულება 10 მანეთამდე, ხოლო შრომის დანახარჯები ცენტნერ ნედლ ბამბაზე — 2 კაცდღემდე.

მირ-ბაშირის რაიონის ნ. ნარიმანოვის სახელობის კოლმეურნეობის კომპლექსური მექანიზაციის სატრაქტორო-მემინდვრეობის ბრიგადამ (ბრიგადირი გაზანფარ ისაევი) ვალდებულება იკისრა მისთვის მოსავლელად მიჩენილი ბამბის მთელი ნათესი ფართობიდან მიიღოს სულ ცოტა 45 ცენტნერი ჰექტარზე და შეამციროს ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულება 12 მანეთამდე.

პუშკინის რაიონის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირმა საანდ ბაგიროვმა ვალდებულება იკისრა მოსავლელად მიჩენილი 100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 50 ცენტნერი ხმელი ბამბა.

მიმდინარე წელს მკვეთრად გადიდდება ნედლი ბამბის მანქანით კრეფის მოცულობა. მოსავლის მანქანით კრეფის ცნობილი ოსტატები: მებამბეობის № 3 საბჭოთა მეურნეობის მექანიკოსი-მძღოლი სარდარ იმრალიევი ბამბის საკრეფი მანქანით მოკრეფს 300 ტონას, ხოლო ბარდის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მძღოლი ქსოვარ მეჰთიევა, რომელიც შარშან პირველად მიუჯდა მანქანის საჯეს, — 220 ტონა ბამბას.

ბელაქნის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ კომპლექსური მექანიზაციის სატრაქტორო-მემინდვრეობის ბრიგადამ (ბრიგადირი რამაზან რამაზანოვი) გადაწყვიტა 100 ჰექტარი სიმინდის ნათესის 30 ჰექტარზე მიიღოს 60-ცენტნერი მარცვალი ყოველ ჰექტარზე, ხოლო 70 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 1.100 ცენტნერი მწვანე მასა.

მარდაკერტის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა არმენუი სარუხანიანმა ვალდებულება იკისრა 7 ჰექტარი სათესლე სიმინდის ნათესის ყოველ ჰექტარზე მიიღოს სულ ცოტა 100 ცენტნერი ხმელი მარცვალი.

მასალის რაიონის კოლმეურნეობა „პრავდის“ მწველავმა, სოციალისტური შრომის გმირმა ბასტი ფატულაევამ ვალდებულება იკისრა თვითეულ ძროხაზე (იგი 10 ძროხას უვლის) მიიღოს 6.500 კილოგრამი რძე, აქსტაფის მერძეველობა-მებორცეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავმა კიაკლიკ ისმაილოვმა თვითეულ ძროხაზე (იგი 12 ძროხას უვლის) — 6 ათასი კილოგრამი, ხოლო შაუმიანის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა სირუი გალუსტიანმა, რომელიც 8 ძროხას უვლის, თვითეულ ძროხაზე მიიღოს 6.500 კილოგრამი რძე.

კახის რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის უფროსმა მწყემსმა ნაჯმეტდინ სოფიევმა გადაწყვიტა ყოველ 100 ნერბზე მიიღოს 140 ბატკანი, ყოველ ცხვარზე დაახლოებით 5,5 კილოგრამი მატყლი.

სომხეთის სსრ

არტაშატის რაიონის კოლმეურნეობებში — ყურძნის საერთო წარმოება აიყვანონ 35 ათას ტონამდე ანუ მსხმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 95 ცენტნერი. ხილის საერთო წარმოება გაადიდონ 26 ათას ცენტნერამდე, ანუ 38 პროცენტით.

იმავე რაიონის სოფელ აიგეზარტის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა 255 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 150 ცენტნერი ყურძენი, სოფელ კახცრაშენის კოლმეურნეობამ 160 ცენტნერი 100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

ახურიანის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს 1960 წლის გეგმასთან შედარებით ხორცის გაყიდვა გაადიდონ 40 პროცენტით, რძისა—26 პროცენტით, კვერცხისა — 19 პროცენტით და მატყლისა — 19 პროცენტით.

შაუმიანის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს 1961 წელს 100 ჰექტარ საკარგულებზე გაანგარიშებით აიყვანონ რძის წარმოება 525 ცენტნერამდე, ხორცისა — 96 ცენტნერამდე, მატყლისა — 490 კილოგრამამდე და კვერცხისა 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე გადაანგარიშებით — 120 ათას ცალამდე. იმავე რაიონის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა აიყვანოს ძროხის წველადობა 4.840 კილოგრამამდე. 100 ჰექტარ საკარგულებზე აწარმოოს 1.170 ცენტნერი რძე, 190 ცენტნერი ხორცი, 1.065 კილოგრამი მატყლი.

შამშადინის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წელს 1960 წელთან შედარებით ერთიორად გაადიდონ სიმინდის ნათესი ფართობები. ამავე რაიონის მეთამბაქოეებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 2.020 ტონა თამბაქო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.820 ტონისა.

არტიკის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს აიყვანონ ხორცის წარმოება 1.600 ტონამდე, ანუ 1960 წელთან შედარებით გაადიდონ 35,7 პროცენტით, რძისა — 6.570 ტონამდე, ანუ 19,3 პროცენტით, 2,8-ჯერ გაადიდონ კვერცხის წარმოება.

ამავე რაიონის სოფლების არევშატისა და მეც-მანტაშის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გაადიდონ ხორცის წარმოება 51-54 პროცენტით.

ოქტემბერიანის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა გაადიდოს ხორცის წარმოება 20 პროცენტით, აქედან ღორის ხორცისა — 90 პროცენტით, რძისა — 22 პროცენტით. კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა 1961 წელს სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე აიყვანოს 70 ცენტნერამდე (მარცვლად), ნედლი ბამბისა — 29 ცენტნერამდე, ყურძნისა — 80 ცენტნერამდე და იონჯისა — 140 ცენტნერამდე.

კალინინოს რაიონის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წელს ხორცის გაყიდვა გაადიდონ 26,5 პროცენტით, რძისა — 19,6 პროცენტით, კვერცხისა — 3,5-ჯერ. თვითეული ძროხის საშუალო წველადობა გადიდდება და მიაღწევს 3.200 კილოგრამს.

ნოემბერიანის მერძეველობა-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრა 1960 წელთან შედარებით რძის წარმოება გაადიდოს 36,5 პროცენტით, ბოსტნეულისა — 100 პროცენტით და თამბაქოს ნედლეულისა — 17 პროცენტით. სიმინდის მოსავლიანობა გაადიდოს ჰექტარზე 50 ცენტნერამდე მარცვლად.

გორისის რაიონის სოფელ ხნძორესკის კოლმეურნეობის მეცხვარეებმა ვალდებულება იკისრეს 1961 წელს ცხვრის სულადობა გაადიდონ და აიყვანონ 14 ათასამდე, ანუ უზრუნველყონ ზრდა 11 პროცენტით, ხორცის წარმოება გაადიდონ 25 პროცენტით, თითო ცხვარის მატყლის ნაპარსი აიყვანონ 5,5 კილოგრამამდე და მიჰყიდონ სახელმწიფოს 450 ცენტნერი მატყლი.

დიდი ვალდებულებები იკისრა აგრეთვე სომხეთის სოფლის მეურნეობის ბევრმა მოწინავემ, მაგალითად, შაუმიანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა, სოციალისტური შრომის გმირმა, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა აშხენ ავეტისიანმა, რომელმაც 1960 წელს თითო საფურაქე ძროხაზე მიიღო 5 ათას 823 კილოგრამი რძე, ვალდებულება იკისრა 1961 წელს ძროხის საშუალო წველადობა აიყვანოს 6 ათას კილოგრამამდე.

ახურიანის რაიონის სოფელ ახურიკის კოლმეურნეობის მერგოლურმა სედა სარქისიანმა ვალდებულება იკისრა 1961 წელს თვითეულ ჰექტარ ჭარხლის პლანტაციაში მიიღოს 800 ცენტნერი შაქრის ჭარხალი შარშან მიღებული 776 ცენტნერის ნაცვლად.

ეჩმიაძინის რაიონის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა სოციალისტური შრომის გმირმა, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა არცვიკ არუთინიანმა ვალდებულება იკისრა ყოველ ჰექტარზე, მოიყვანოს 50 ცენტნერი ნედლი ბამბა. სისიანის რაიონის სოფელ ვაგუდის კოლმეურნეობის მწყემსმა ბახტო გალსტიანმა ვალდებულება იკისრა 1961 წელს თითო ცხვრის მატყლის ნაპარსი აიყვანოს საშუალოდ 5,6 კილოგრამამდე.

ასეთი მოწინავე ბევრია მეცხოველეობაში, მებამბეობაში, მეჩაიეობაში, მეევენახეობაში, მებაღეობაში, მეთამბაქოობაში.

ჩვენი უპირველესი საპატიო მოვალეობა სწორედ ის არის, რომ ფართოდ გავავრცელოთ და ყველგან დავნერგოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ამ მოწინავეთა გამოცდილება, უზრუნველვყოთ მარცვლეული კულტურების და უწინარეს ყოვლისა სიმინდის მოსავლიანობის მკვეთრი გადიდება, გავადიდოთ ძროხის სულადობა და პირუტყვის პროდუქტიულობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მაღალი კულტურა, ყველა აგროზოოტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის დაცვა — აი რა უნდა იყოს კახური თვითეული ჩვენთაგანისათვის. საჭიროა ყველა ორგანიზაციული ღონისძიება ვიხმაროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კომპლექსური მექანიზაცია, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ სარწყავი მიწათმოქმედების მდიდარი შესაძლებლობანი. ჩვენი წმიდა მოვალეობაა მუდამ ვზრუნავდეთ მეთესლეობისა და სანაშენო საქმის გაუმჯობესებისათვის, რაც მარცვლეული მეურნეობისა და მეცხოველეობის აღმავლობის დიდნიშვნელოვანი პირობაა. ჩვენი ყოველდღიური ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ბრუნვა წარმოების გაფართოებისათვის და იმისათვის, რომ მზარდ მეცხოველეობას შევუქმნათ მტკიცე საკვები ბაზა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პირუტყვი საკმაოდ უზრუნველყოთ წვნიანი, უხეში და კონცენტრირებული საკვებით, საჭიროა კვლავაც გავადიდოთ სილოსის ჩადება, განსაკუთრებით სიმინდის სილოსისა; ფართოდ შემოვიღოთ ვიტამინიანი თივის მომზადება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალ შემდგომ აღმავლობას ჩვენ მივაღწევთ იმ პირობით, თუ ყოველი ღონისძიებით განვავითარებთ საზოგადოებრივ მეურნეობას, უზრუნველვყოფთ სასოფლო-სამეურნეო არტელების შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, საკოლმეურნეობათაშორისო ურთიერთობის ფართოდ განვითარებას. ჩვენი ამოცანაა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ სოფლის მეურნეობის ყველა დარგში საზოგადოებრივ წარმოებას წამყვანი ადგილი ეჭიროს.

ამოცანა ის არის, — ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, — რომ ავამოქმედოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რეზერვები, ხელიდან არ გავუშვათ დრო, ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა 1961 წელს, შვიდწლედის მესამე წელს, გავაძლიეროთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდის ტემპები, ახალი შესანიშნავი წარმატებებით შეეხვდეთ პარტიის XXII ყრილობას.

ჩვენ მიგმართავთ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს და მოვუწოდებთ აქტიურად ჩაებან მოსახლეობისათვის კვების პროდუქტებისა და მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შესაქმნელად საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში. პარტიის მოწოდებას კონკრეტული საქმეებით ვუპასუხებთ! ჩვენ ყველა პირობა მოგვეპოვება იმისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ ჩვენი რესპუბლიკების წინაშე დასახული ამოცანები, უზრუნველვყოთ მარცვლის წარმოების მკვეთრად გადიდება, უმთავრესად სიმინდის მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებით, ამავე დროს ბამბის, ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს, ბოსტნეულის, კარტოფილისა და სხვა კულტურების წარმოების გაფართოება.

მიმდინარე წლის მოსავლის ბედი ახლა წყდება. არც ერთი საათი, არც ერთი წუთი არ დაკარგოთ! მკვლავებდაკაპიწებული შეუდგეთ მუშაობას, ყოველმხრივ მოემზადოთ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის, კვლავ და კვლავ შევამოწმოთ, უზრუნველყოფილია თუ არა ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მაღალხარისხოვანი, დაკალიბრებული თესლით, გატანილია თუ არა სასუქები მინდვრად, შეკეთებულია თუ არა მანქანები და იარაღები, მომზადებული არიან თუ არა ადამიანები კვადრატულ-ბუდობრივ სათეს მანქანებზე მუშაობისათვის.

მიმდინარე წელს მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ვალდებულებათა შესრულების წარმატება ბევრად დამოკიდებულია პირუტყვის ნორმალურ გამოზამთრებაზე, იმაზე, თუ როგორ მოვამზადებთ და განვახორციელებთ ღონეს. მოვუწოდებთ ყველა კოლმეურნეს და საბჭოთა მეურნეობების მუშებს ყოველი ღონე იხმაროს, რათა უზრუნველყონ პირუტყვი თბილი სადგომებით და უხვი კვებით, ბოლო მოუღონ ძროხების ბერწიანობას და პირუტყვის სიკვდილიანობას. ფერმებში ვეტერინარული მომსახურების გადაჭრით გაუმჯობესება, ხელოვნური დათესვლის ფართოდ დანერგვა — აი რა უზრუნველყოფს საქმის წარმატებას. დოლის წარმატებისათვის უკვე ახლა უნდა მოვამზადოთ სადგომები, გამოვყოთ ადამიანები, გადავიყვანოთ ნერგები კონცენტრირებული საკვებით გაძლიერებულ კვებაზე. თვითეული ხბო, თვითეული ბატკანი უნდა შევინარჩუნოთ — აი რას უნდა ვესწრაფოდეთ ჩვენ ყველანი.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა წარმოუდგენელია, თუ ფართოდ არ დავნერგავთ ტექნიკა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, თუ ფართოდ არ გამოვიყენეთ კომპლექსური მექანიზაცია. რაც უფრო კარგად, მეტი წარმადობით გამოვიყენებთ მანქანა-ტრაქტორთა პარკს მინდვრებსა და ფერმებში, მით უფრო მეტი იაფი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გვექნება.

ჩვენი ღირსების საქმეა შეექმნათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კომპლექსური მექანიზებული ბრიგადები და რგოლები.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლის გადამწყვეტ უბნებზე უნდა იყონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები — აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ვეტერინარი ექიმები. მათი მოვალეობაა იპოვნონ თავიანთი ადგილი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის წარმოებაში. ჩვენ მოვუწოდებთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებსა და მეცნიერებს განახორციელონ სამუშაოთა კვალიფიციური აგრონომიული და ზოოტექნიკური მომსახურება მინდვრებსა და პლანტაციებში, ბაღებსა და მეცხოველეობის ფერმებში, დაეხმარონ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს იმაში, რომ ფართოდ დანერგონ წარმოებაში მეცნიერების მიღწევები.

**მაშ მოდით, ამხანაგებო, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებო, გავაჩაღოთ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება იმისათვის, რომ ყოველ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტისაგან

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი იუწყება, რომ 1961 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაშვებულია შემდეგი ნაშრომები:

მეცნიერების დარგში

1. **ვენკოვი ბ. ა. „რიცხვთა გეომეტრიის დარგის ნაშრომთა ციკლი“.**

წარმოადგინა ლენინგრადის მათემატიკოსთა საზოგადოებამ.

2. **იოფე ა. თ. „ნახევარგამტარების ფიზიკის თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის ფიზიკის სექციამ.

3. **ლანდაუ ლ. დ., ლიფშიცი ე. მ. „თეორიული ფიზიკის კურსი. (მექანიკა, ველის თეორია)“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ს. ი. ვავილოვის სახელობის ფიზიკის პრობლემათა ინსტიტუტმა.

4. **პოსტნიკოვი მ. მ. „უწყვეტ ასახვათა პომოტოპიური თეორიის დარგის ნაშრომთა ციკლი“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტმა.

5. **ჩორნი ბ. ბ. „ციკლი ნაშრომებისა ძლიერი დარტყმითი ტალღებიანი დინებების აეროდინამიკაში“.**

წარმოადგინა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტმა.

6. **მაკლინოვი გ. ა. „შუა აზიის ცენტრალური და სამხრეთი ნაწილების ლოსებისა და ლოსისებური ქანების გენეტიკური ტიპები“.**

წარმოადგინა უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტმა.

7. **ნიკოლაევი ნ. ი., შულცი ს. ს. „სსრ კავშირის უახლესი ტექტონიკის რუკა. მ. 1 : 5.000.000“.**

წარმოადგინეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის გეოლოგიურ-საბვერნო ინსტიტუტმა და აერომეთოდების ლაბორატორიამ.

8. **სტრახოვი ნ. მ. „ლითოგენეზის თეორიის საფუძვლები“, ტ. I და II.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის ფოლოგიის მეცნიერებათა სექციამ.

9. **ივანოვი ა. ა. „სსრ კავშირის ფაუნა. პოგონოფორები“.**

წარმოადგინა ლენინგრადის ა. ა. ძდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

10. **ლარინი ი. ვ. „სსრ კავშირის სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესებისა და რაციონალური გამოყენების თეორიული საფუძვლებისა და პრაქტიკული ხერხების შემუშავება“.**

წარმოადგინა ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიამ.

11. **პეიფე ი. ვ., ვლასიუკი პ. ა., ვინოგრადოვი ა. პ., კედროვ-ზიხმანი ო. კ., კატალიმოვი მ. ვ., შკოლნიკი მ. ი., კოგანსკი ბ. ვ., ბერზინი ი. მ. „მიკროელემენტების ბიოლოგიური როლი და მათი გამოყენება სოფლის მეურნეობაში“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების ბიურომ.

12. **პეტინოვი ნ. ს. „სარწყავი ხორბლის ფიზიოლოგია“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის მცენარეთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა.

13. **ტალალაევი ე. ვ. „ციმბირული პარკხვეიოს წინააღმდეგ ბრძოლის ბაქტერიოლოგიური მეთოდი“.**

წარმოადგინა ირკუტსკის ა. ა. ძდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

14. **შაპოშნიკოვი ვ. ნ. „მიკროორგანიზმების ნივთიერებათა გაცვლის ფიზიოლოგია ფუნქციათა ეფექტიანობასთან დაკავშირებით“.**

წარმოადგინეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიკრობიოლოგიის ინსტიტუტმა და მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგია-ნიადაგის ფაკულტეტმა.

15. **ზამარინი ე. ა. „ჰიდროტექნიკური ნაგებობანი“, „ჰიდროტექნიკური ნაგებობათა დაპროექტება“, „ღია ნაკადების მატარებელი უნარი და დინების დასაშვები სიჩქარეები“, „სასოფლო-სამეურნეო ჰიდროტექნიკური ნაგებობანი“.**

წარმოადგინა ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიამ.

16. **კოპოვი ე. ა. „არაწრფივი ავტომატური სისტემების კვლევისა და გაანგარიშების მიახლოებული მეთოდების შემუშავება“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის ავტომატიზაციის საშუალებათა სექციამ.

17. **უსმანოვი ა. ბ. „მოლეკულურ სისტემებში მასის გადატანის მსგავსების მეთოდების გამოყენების საშუალებათა კომპლექსი“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გ. მ. კრჟიჟანოვსკის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტმა.

18. **ზაროვი ი. ა. „ჰიდრომელიორაციული სისტემების ექსპლოატაცია“.**

წარმოადგინა ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიამ.

19. **ვინოგრადოვი ვ. ვ. „მხატვრული ლიტერატურის ენის შესახებ“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის ფილოლოგიის მეცნიერებათა სექციამ.

20. **ვოლგინი ვ. პ. „მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეცნიერების მნიშვნელოვანი დარგის — მარქსამდელ სოციალისტურ მოძღვრებათა ისტორიის შექმნა და შემუშავება, რომლის შედეგები ასახულია წიგნში „საზოგადოებრივი აზრის განვითარება საფრანგეთში XVIII საუკუნეში“, რომელიც გამოქვეყნდა 1958 წელს სერიაში „მეცნიერული სოციალიზმის წინამორბედნი“, და სხვა ნაშრომებში.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა.

21. **ჟირმუნსკი ვ. მ. „გერმანული დიალექტოლოგია“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის ფილოლოგიის მეცნიერებათა სექციამ.

22. **მოტილიოვი ვ. ე. „ფინანსური კაპიტალი და მისი ორგანიზაციული ფორმები“.**

წარმოადგინა მოსკოვის საფინანსო ინსტიტუტმა.

23. **ამოსოვი ნ. მ., ბნთელაძე ნ. ვ., ბოგუშევი ლ. კ., კოლესნიკოვი ი. ს., ლიმპერგი ბ. ე., სტრუჩკოვი ვ. ი., უგლოვი ფ. ბ. „ფილტვების დაავადებათა ქირურგიული მკურნალობის ორიგინალური მეთოდების შემუშავება და ფართო პრაქტიკაში დანერგვა“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გულმკერდის ქირურგიის ინსტიტუტმა.

24. **კონოვალოვი ნ. ვ. „ჰიპოთეტერებული დისტროფია“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის მედიცინის სექციამ.

ტექნიკის დარგში

1. **კუზმინი ა. დ., ეუკაევიჩ-სტოშა ე. ა., კრილოვი ნ. ი., კულიკი ბ. ფ., ანფიმოვი მ. ი., ხიმინი ბ. ლ., ისტომინი ა. ვ., სინევი ე. ი., რიეველო ნ. ა., ტიუჩინკო ნ. ა. „850 (700) 500 უწყვეტი სანამზადო ტეპური დგანის შექმნა და არსებული სანამზადო დგანების წარმადობის გადიდება“.**

წარმოადგინა მეტალურგიული მანქანათმშენებლობის* სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტმა.

2. **გორდოვი ა. ნ., კანდიბა ვ. ვ., კირინკოვი ი. ი., ფინკელშტეინი ვ. ე., კოვალევსკი ვ. ა. „მაღალ ტემპერატურების ზუსტად გაზომვის მეთოდებისა და აპარატურის შექმნისა და დანერგვის მეტროლოგიურ სამუშაოთა კომპლექსი“.**

წარმოადგინა დ. ი. მენდელეევის სახელობის მეტროლოგიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

3. **ნეკლიუდოვი გ. ი., ტარასოვი ს. ვ., ჩეკუნინი კ. ი. „საათის წარმოების ავტომატიზაცია და მექანიზაცია“.**

წარმოადგინა მოსკოვის (საქალაქო) ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ.

4. **აფანასიევი ს. გ., ფილიპოვი ს. ნ., შუმოვი მ. მ., ბედა ნ. ი., კულაგინი გ. ფ., კუკარუზნიკი ი. ს., აქსიონოვი ვ. ფ. „მარტენის თუჯისაგან ზემოდან ფანგბადის გაქრევის საშუალებით ფოლადის გამოდნობის ტექნოლოგიის შემუშავება და დანერგვა“.**

წარმოადგინეს ი. პ. ბარდინის სახელობის შავი მეტალურგიის ცენტრალურმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, ტულისა და დნეპროპეტროვსკის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოებმა.

5. **ზაბოტაევი ს. ა., ფილიპოვი ს. მ., ბროიდე მ. ი., ბოგოროდსკი ა. ლ., მიკულჩიკი ა. ვ., ზამეშაევი ვ. ს., ნოვიცკი ვ. ა. „მსხვილი ზოდების ვაკუუმური ჩამოსხმა ურალის ფილიალმა და ჩელიაბინსკის მეტალურგშრომის ტრესტმა.**

6. **კულეშოვი ნ. ნ., სოკოლოვი ბ. ა., ხაჯინოვი მ. ი., გალეევი გ. ს., კოზუბენკო ვ. ე., ფუსიკოვ ა. ს., ემელიანოვი ი. ე. „სამინდის სელექციისა და მეთესლეობის მეთოდების შემუშავება, მისი უხვმოსავლიანი ჰიბრიდებისა და ჯიშების შექმნა და მათი ფართოდ დანერგვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში“.**

წარმოადგინეს ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიამ და ხარკოვის ვ. ვ. დოკუჩაევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა.

7. **ალიხანოვი ე. ნ., ბილანდარლი ა. მ., ჰაჯიევი ბ. ი., ეასუშაზადე მ. დ., ყულიევი ი. ჰ., მამედოვი მ. კ., მელიქ-თანგიევი ზ. ი., მზარეულოვი ფ. ა., ნიბრიევი ვ. ფ., სალამოვი მ. ი., სამედოვი ფ. ი., ხადიკოვი ხ. ა., იაფინი ბ. ი., ბალინი ბ. კ., ტრავნიკოვ ა. ს. „იძულებითი ბლოკური ჩამოქცევის სისტემის შემუშავება, დანერგვა და ძირეული სრულყოფა ლენინოგორსკის პოლიმეტალების კომბინატის მაღაროებში“.**

წარმოადგინეს ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა და აღმოსავლეთ ყაზახეთის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ.

8. **ბუდკოვი ვ. დ., ზიგლინი ლ. ა., ილინი ა. ე., კრატენკო ი. მ., კუდინოვი ფ. ნ., პეტროვიანოვი ა. ნ., რუსაკოვი ვ. ი., სიროტკინი ვ. ე. „ტუის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის შახტებში საწმენდ სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის საშუალებების შექმნა და წარმოებაში დანერგვა“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის სამო სექციამ.

9. **ბაიდაკოვი ვ. ფ., ბონჩარენკო ნ. ი., ბრეზენკო ა. ფ., ბარნიკი ბ. ა., ოროზოვი ბ. ვ., ულიანოვი დ. კ., ეელტოვი ა. ს. „ფოლადისა და შენადნობთა ხარისხის გაუმჯობესება თხევადი ლითონის ვაკუუმური დამუშავების მეთოდით“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ა. ბაიკოვის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტმა.

10. **ალიხანოვი ე. ნ., ბილანდარლი ა. მ., ჰაჯიევი ბ. ი., ეასუშაზადე მ. დ., ყულიევი ი. ჰ., მამედოვი მ. კ., მელიქ-თანგიევი ზ. ი., მზარეულოვი ფ. ა., ნიბრიევი ვ. ფ., სალამოვი მ. ი., სამედოვი ფ. ი., ხადიკოვი ხ. ა., იაფინი ბ. ი., ბალინი ბ. კ., ტრავნიკოვ ა. ს. „იძულებითი ბლოკური ჩამოქცევის სისტემის შემუშავება, დანერგვა და ძირეული სრულყოფა ლენინოგორსკის პოლიმეტალების კომბინატის მაღაროებში“.**

წარმოადგინეს ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა და აღმოსავლეთ ყაზახეთის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ.

11. **ბერეზენბერგი ბ. რ. „მძლავრი ჰიდროგენერატორებისა და სინქრონული კომპენსატორების ძლიერი მოქმედების აგზნების ავტომატურ რეგულატორთა შემუშავება და დანერგვა“.**

წარმოადგინა ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო ელექტროტექნიკურმა ინსტიტუტმა.

14. **ანტოშჩენკო ი. მ., დეინეკი ი. მ., კოჩეშკოვი ვ. ბ., კუზნეცოვი ბ. ფ., ლევონტინი ნ. ბ., მაკარიჩევი ვ. ვ., მოსფრიდი ი. ბ., როზანოვი ნ. ვ., ხალიტანოვსკი ს. ვ., სიზოვი ბ. ა., სოკოლოვი ი. ლ., სტრელნიკოვი ნ. ბ., ტურკო რ. ლ. „დიდპანელიანი საცხოვრებელი შენობების კონსტრუქციების, მათი დამზადების ტექნოლოგიის შემუშავება და ფართოდ დანერგვა მშენებლობის პრაქტიკაში“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის მშენებლობის, არქიტექტურისა და სატრანსპორტო მშენებლობის სექციამ.

13. **გაიდუკი ა. კ., გლადკოვსკი ტ. კ., ილიუხინი ი. მ., კოშენდატი ბ. ი., ლოზოვოი ი. ი., მარჩენკო ა. ა., მასლენიკოვი ვ. ნ., რატეი ე. ბ., რისკინდი ბ. ი. „სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობისათვის წინასწარ დაძაბული რკინა-ბეტონის კონსტრუქციების არმატურის ელექტროგაბურღების დახმარებით დაჭიმვის ახალი ტექნოლოგიის შემუშავება და წარმოებაში დანერგვა“.**

წარმოადგინეს სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ურალის ფილიალმა და ჩელიაბინსკის მეტალურგშრომის ტრესტმა.

16. **კულეშოვი ნ. ნ., სოკოლოვი ბ. ა., ხაჯინოვი მ. ი., გალეევი გ. ს., კოზუბენკო ვ. ე., ფუსიკოვ ა. ს., ემელიანოვი ი. ე. „სამინდის სელექციისა და მეთესლეობის მეთოდების შემუშავება, მისი უხვმოსავლიანი ჰიბრიდებისა და ჯიშების შექმნა და მათი ფართოდ დანერგვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში“.**

წარმოადგინეს ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიამ და ხარკოვის ვ. ვ. დოკუჩაევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა.

17. **ალაბალიანცი ბ. ბ., ბრუსილოვსკი ს. ა., მერძანიანი ა. ა. „უწყვეტი ნაკადით შამპანურის წარმოების ბიოქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური მეთოდის შემუშავება და მრეწველობაში დანერგვა ტექნოლოგიური პროცესის ავტომატიზაციასთან ერთად“.**

წარმოადგინა მოსკოვის (საქალაქო) ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ.

* * *

აქვეყნებს რა იმ ნაშრომების სიას, რომლებიც დაშვებულია 1961 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებელ კონკურსში მონაწილეობისათვის, კომიტეტი მიმართავს საბჭოთა საზოგადოებრიობას

და სთხოვს აცნობონ თავიანთი აზრი როგორც ამ ნაშრომების შინაარსის, ისე ავტორთა კოლექტივების შემადგენლობის შესახებ.

სიაში ჩამოთვლილი მთელი რიგი ნაშრომების მონაწილეთა შემადგენლობა დატოვებულია უცვლელად (წინათ გამოქვეყნებულ სიასთან შედარებით) იმის გამო, რომ საჭიროა შემდგომი განხილვისას უფრო დაუსტდეს თვითეული თანაავტორის შემოქმედებითი წვლილი.

ყველა აზრი და შენიშვნა საკონკურსოდ დაშვებული ნაშრომებისა და მათ მონაწილეთა შესახებ კომიტეტი გთხოვთ გამოგზავნოთ ა. წ. 1 ივნისამდე მისამართით: ქალაქი მოსკოვი, ი-51, ნეგლინაიას ქუჩა, 29/14.

იმისათვის, რომ საზოგადოებრიობა მოხერხებულად გაეცნოს აღნიშნულ ნაშრომებს, ყველა მასალა ამ ნაშრომების შესახებ ა. წ. 25 თებერვლიდან გადაეცემა სსრ კავშირის სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკას (მოსკოვი, კუზნეცკის ხიდი, სახლი 12).

ხალხისა და მეცნიერების სამსახურში

მეთემატიკის [illegible] რებაში უდიდესი [illegible] სულოვნად [illegible] თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეობ. საბჭოთა მეცნიერი-მათემატიკოსების ამ სრულიად საკავშირო გაერთიანების სახელით იუბილარს მიესალმა აკადემიკოსი ლ. სედოვი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის იუბილეზე მოსალოცად ჩამოვიდნენ სტუმრები შუა აზიის რესპუბლიკებიდან. თაკანთი რესპუბლიკების მეცნიერული საზოგადოებრიობის სახელით იუბილარს მიესალმნენ ყირგიზეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. ადაშევი და ტაჯიკი მეცნიერი ლ. მიხაილოვი. უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. სირაჯოვმა, რომელმაც წარმოთქვა მისალმება თავისი რესპუბლიკის წარმყვან სამეცნიერო დაწესებულებათა სახელით, იუბილარს მოახსენა ეროვნული უზბეკური მოსასხამი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მ. საბაშვილმა წაიკითხა თავისი აკადემიისა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მისალმება.

იუბილარის მოსალოცად მოვიდნენ აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქის მთელ რიგ სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

იუბილარის სახელზე მოვიდა მრავალი დეპეშა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ო. ონიანიძემ წაიკითხა მოსკოვიდან მოლაპარაკე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბისალმება.

იუბილარის მოსალოცად მოვიდნენ აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქის მთელ რიგ სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

იუბილარის სახელზე მოვიდა მრავალი დეპეშა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ო. ონიანიძემ წაიკითხა მოსკოვიდან მოლაპარაკე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბისალმება.

იუბილარის მოსალოცად მოვიდნენ აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქის მთელ რიგ სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის იუბილეზე მოსალოცად ჩამოვიდნენ სტუმრები შუა აზიის რესპუბლიკებიდან. თაკანთი რესპუბლიკების მეცნიერული საზოგადოებრიობის სახელით იუბილარს მიესალმნენ ყირგიზეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. ადაშევი და ტაჯიკი მეცნიერი ლ. მიხაილოვი. უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. სირაჯოვმა, რომელმაც წარმოთქვა მისალმება თავისი რესპუბლიკის წარმყვან სამეცნიერო დაწესებულებათა სახელით, იუბილარს მოახსენა ეროვნული უზბეკური მოსასხამი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მ. საბაშვილმა წაიკითხა თავისი აკადემიისა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მისალმება.

იუბილარის მოსალოცად მოვიდნენ აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქის მთელ რიგ სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის იუბილეზე მოსალოცად ჩამოვიდნენ სტუმრები შუა აზიის რესპუბლიკებიდან. თაკანთი რესპუბლიკების მეცნიერული საზოგადოებრიობის სახელით იუბილარს მიესალმნენ ყირგიზეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. ადაშევი და ტაჯიკი მეცნიერი ლ. მიხაილოვი. უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. სირაჯოვმა, რომელმაც წარმოთქვა მისალმება თავისი რესპუბლიკის წარმყვან სამეცნიერო დაწესებულებათა სახელით, იუბილარს მოახსენა ეროვნული უზბეკური მოსასხამი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მ. საბაშვილმა წაიკითხა თავისი აკადემიისა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მისალმება.

იუბილარის მოსალოცად მოვიდნენ აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქის მთელ რიგ სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

**[illegible] ბელგიის [illegible] ბელგიელ [illegible] ბელგიელ [illegible] ბელგიელ

საერთაშორისო
ფეიერვერკი, ცნობები, მიმოხილვა
ცხოვრება

კონგო დაამსხვრევს მონოგის გორკილს

კაირო, 15 თებერვალი. (საკადესი). პატრის ლუმუმბას, ჟოზეფ ოკიტოსა და მორის მპოლოს დახოცვასთან დაკავშირებით კონგოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის, რომელსაც ანტუან გიზენგა მეთაურობს, დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურმა პიერ მულელემ, აქ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „კონგოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობა გააკეთებს ყველა საჭირო დასკვნას იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უნდა განხორციელდეს ბელგიელ კოლონიზატორთა, მათ მოკავშირეთა და ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც პირდაპირ ან არაპირდაპირ თანამშრომლობდა პრემიერ-მინისტრის პატრის ლუმუმბასა და მისი ორი თანამებრძოლის მკვლელობის ამ საზიზღარი აქტის ჩადენაში, აგრეთვე კონგოს სრული განთავისუფლების გარანტიების შექმნის ღონისძიებათა შესახებ".

კატეგორიული ფორმით უარყოფს რა ჩომბეს ხელისუფალთა ვერსიას პატრის ლუმუმბასა და მისი თანამებრძოლების დახოცვის გარემოებათა შესახებ, რომელიც გამოგონილია იმიტომ, რომ მიჩქმალონ ჩადენილი საზიზღარი დანაშაული, პიერ მულელე აცხადებს: „პრემიერ-მინისტრი პატრის ლუმუმბა მოკლა ყანდარმერიამ კატანგის პროვინციაში იმ გეგმის თანახმად, რომელიც შეიმუშავეს ბელგიელმა და ფრანგმა ოფიცრებმა, რომლებიც წინათ მონაწილეობდნენ კოლონიურ ომში ალჟირში, ვიეტნამსა და კორეაში, და სამხრეთ აფრიკელმა რასისტებმა. ეს ოფიცრები ეკუთვნიან შეიარაღებულ ძალებს, რომელთა შექმნა მოითხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და რომლებიც ახლა სპობენ ბალუბის ტომის მცხოვრებლებს კატანგაში.

ჩომბეს, მუონგოს დაქირავებულმა აგენტებმა და სხვებმა, რომლებიც ამჟამად კატანგას მართავენ, შეასრულეს ბელგიელ კოლონიზატორთა და ნატოში მათ იმპერიალისტ მოკავშირეთა გეგმები. და სხვამ არავინ, თუ არა მობუტუსა და კასავუბუს დამქაშებმა და მათმა მრჩევლებმა გადასცეს პატრის ლუმუმბა ელიზაბეტვილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელთა (კონგოში) თვალწინ და მათი თანხმობით. მათთან ერთად პასუხისმგებლობა ეკისრება აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ჰამარშელდს.

„პატრის ლუმუმბა, — ნათქვამია დასასრულ განცხადებაში, — სამუდამოდ დარჩება კონგოელი ხალხის მეხსიერებაში როგორც ეროვნული განთავისუფლებისათვის დიდი მებრძოლი. კონგოელი პატრიოტები ფიცს სდებენ განაგრძონ ბრძოლა კონგოს განთავისუფლებისათვის რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის ხელმძღვანელობით, რომელსაც ანტუან გიზენგა მეთაურობს.

ჰაილე სელასიე მოითხოვს...

ადის-აბება, 15 თებერვალი. (საკადესი). დღეს ეთიოპიის იმპერატორმა ჰაილე სელასიემ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც გულისწყრომას გამოთქვამს კონგოს ეროვნული გმირის პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბასა და მისი თანამებრძოლების ჟოზეფ ოკიტოსა და მორის მპოლოს დანაშაულებრივი დახოცვის გამო.

ჰაილე სელასიე მოითხოვს, რომ სასტიკ სასამართლო პასუხისგებაში მისცენ პატრის ლუმუმბას მკვლელები. თუ ასეთი ღონისძიებანი არ განხორციელდა, ხაზგასმულია დეპეშაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესტიჟს გამოუსწორებელი ზიანი მოუვა.

კონგოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის წარმომადგენლობის განცხადება

ლუმუმბას ოჯახს ბერლინში ინვევენ

ბერლინი, 15 თებერვალი. (საკადესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერნსტ ტელმანის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის ცენტრალურმა ხელმძღვანელებმა და თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური საბჭოს ბიურომ ქ-ნი ლუმუნბა და მისი შვილები მოიწვიეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. როგორც აფრიკის ხალხებთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოლიდარობის კომიტეტის თავმჯდომარემ ჰორსტ ბრაშმა განაცხადა, კომიტეტმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოიწვია აგრეთვე იმპერიალისტთა აგენტების მიერ დახოცილ კონგოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეების მპოლოსა და ოკიტოს შვილები.

ჩინეთის მთავრობის პროტესტი

პეკინი, 15 თებერვალი. (საკადესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მტკიცე პროტესტი განაცხადა კონგოს ეროვნული გმირის, კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პატრის ლუმუმბასა და მისი თანამებრძოლების ავაზაკურად დახოცვის გამო.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პატრის ლუმუმბას, კონგოს სენატის თავმჯდომარის ჟოზეფ ოკიტოსა და მინისტრის მორის მპოლოს დახოცვა სერიოზული პროვოკაციაა აზიის, აფრიკისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ.

ჩინეთის მთავრობის განცხადებაში ნათქვამია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავს ვერ ირიდებს პასუხისგებლობას, რომელიც მას აკისრია იმპერიალისტური წრეების ამ დანაშაულისათვის. იმპერიალისტებისა და მათი აგენტების მიერ პრემიერ-მინისტრ ლუმუმბას მოკვლა მოწმობს არა იმპერიალისტებისა და მათი აგენტების ძალას, არამედ მათ სისუსტესა და შიშს დიდი კონგოელი ხალხის წინაშე. დადგება დღე, აღნიშნულია განცხადებაში, როცა იმპერიალისტები და მათი აგენტები ზღვენ მრავალ სისხლისმღვრელ აგრესიულ დანაშაულს, რომლებიც მათ კონგოში ჩადენეს, და ვერავითარ შემთხვევაში ვერ დააღწევენ თავს კონგოელი ხალხის, აფრიკის ხალხებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების შურისგებას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და ჩინელი ხალხი, ნათქვამია განცხადებაში, მტკიცედ დგანან კონგოელი ხალხის მხარეზე და მხარს უჭერენ კონგოელ ხალხს მის სამართლიან ბრძოლაში სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის.

ლუმუმგას მკვლელია გელგიელი ოფიცერი

ბელგრადი, 16 თებერვალი. (საკადესი). როგორც ტანიუგის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, აქ მიღებული ცნობებით, კონგოს პრემიერ-მინისტრი პატრის ლუმუმბა და მისი ორი თანამებრძოლი დახოცა ჩომბეს ყანდარმერიის ბელგიელმა კაპიტანმა. ამ ჯალათს, როგორც იუწყებიან, ჯერ მოუკლავს თავდაცვის მინისტრი და ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა მინისტრი მპოლო, ხოლო როცა კონგოს სენატის თავმჯდომარე ოკიტო დახრილა, რათა ენახა ცოცხალი იყო იგი თუ მკვდარი, კაპიტანს რევოლვერი უსროლია მისთვის კეფაში. რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე ადგილას მიუყვანიათ პატრის ლუმუმბა და დაუხვრეტიათ.

ეს ავაზაკური მკვლელობა, რომლის შესახებაც ახლა თანდათან მეტი ცნობა გროვდება, ჩადენილია მაშინვე, როგორც კი ლუმუმბა, მპოლო და ოკიტო ლეოპოლდვილიდან ჩაიყვანეს ბელგიელ კოლონიზატორთა დასაყრდენ პროვინციაში — კატანგაში.

განის მთავრობის გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი, 16 თებერვალი, (საკადესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი აკრიდან იუწყება, განის მთავრობამ უბრძანა განაში მცხოვრებ ყველა ბელგიელს დატოვონ ეს ქვეყანა 48 საათის განმავლობაში. ეს გადაწყვეტილება მიღებულია ნიშნად პროტესტისა იმის წინააღმდეგ, რომ ბელგიელი კოლონიზატორები მონაწილეობდნენ პატრის ლუმუმბას მოკვლაში.

გლოვა განაში

აკრა, 15 თებერვალი. (საკადესი). განის რესპუბლიკა გლოვობს აფრიკის ერთგული შვილის პატრის ლუმუმბასა და მისი თანამებრძოლების — მორის მპოლოსა და ჟოზეფ ოკიტოს დაღუპვას.

აკრაში დაშვებულია ალმები. განის მთავრობამ გამოაცხადა 8 დღის გლოვა პატრის ლუმუმბას ხსოვნის გამო.

მკვლელები კვალის დაფარვას ცდილობენ

პარიზი, 16 თებერვალი. (საკადესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს ელიზაბეტვილელი კორესპონდენტი იუწყება, კატანგის მარიონეტულმა მთავრობამ გუშინ გამოაქვეყნა ოფიციალური კომუნიკე, რომელშიც განაცხადა, რომ „წინააღმდეგი კატანგაში ჩავიდეს საერთაშორისო კომისია იმის გამოსაკვლევად, თუ რა ვითარებაში მოკლეს პატრის ლუმუმბა".

მოლაპარაკება ლონდონში

ლონდონი, 16 თებერვალი, (საკადესი). აქ დამთავრდა მოლაპარაკება მაკმილანსა და საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ კარამანლისს შორის, რომელიც 13 თებერვალს ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ინგლისში. ორივე პრემიერ-მინისტრი, ნათქვამია გუშინ საღამოს გამოქვეყნებულ კომუნიკეში, შეთანხმდნენ, რომ „დაბეჯითებით საჭიროა დაიცვან მშვიდობა და შეამსუბუქონ თავდაცვის ხარჯების ტვირთი განიარაღების საკითხებში პროგრესის მიღწევის გზით".

როგორც კომუნიკედან ჩანს, მოლაპარაკების მსვლელობაში განხილულ იქნა აგრეთვე ეკონომიური პრობლემები და პრემიერ-მინისტრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა „ყოველი ღონე იხმარონ, რათა გაადიდონ სავაჭრო გაცვლა და ეკონომიური თანამშრომლობა ევროპაში რაც შეიძლება უფრო ფართო საფუძველზე".

კომუნიკეში ნათქვამია, რომ მაკმილანმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰიუმმა მიიღეს კარამანლისის მიწვევა — საპასუხო ვიზიტად ჩავიდნენ საბერძნეთში.

მათ კონკურსში გაიმარჯვეს

მოსკოვში დამთავრდა ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებელთა სრულიად საკავშირო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ორმოცდახუთმეტი მუსიკოსი.

ამ მეტად რთულ და დაძაბულ შეჯიბრებაში საგულისხმო წარმატებებს მიაღწიეს ახალგაზრდა თბილისელმა პიანისტებმა ც. კვერნაძემ, ვ. ვირსალაძემ, ალ. ნიჟარაძემ და პ. დიმიტრიადიმ.

„კომუნისტის" კორესპონდენტი ესაუბრა სრულიად საკავშირო კონკურსის ჟიურის წევრს, პროფესორ იონა ტუსკიას, რომელმაც თქვა:

— ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებელთა პირველი საკავშირო კონკურსი ამ თხუთმეტი წლის წინათ გაიმართა. იმ კონკურსში მხოლოდ რამდენიმე ქალაქის წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას, ახლა კი კონკურსს წინ უძღოდა შემსრულებელთა ზონალური შერჩევა, ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ამ კონკურსში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა ახალგაზრდა შემსრულებელმა.

სრულიად საკავშირო კონკურსის პირველ ტურში მონაწილეობის უფლება მოიპოვა 55 პიანისტმა, რომელთა შორისაც იყვნენ თბილისელი ახალგაზრდებიც — ცაცა კვერნაძე, ელისო ვირსალაძე, ალექსანდრე ნიჟარაძე და პარის დიმიტრიადი.

თავის პროგრამით ამ ნამდვილად ურთულეს კონკურსში პირველ ადგილზე გამოვიდა ტაშკენტის კონსერვატორიის პედაგოგი რუდოლფ კერერი, რომელსაც თბილისის მუსიკალური ათწლედი აქვს დამთავრებული, ხოლო შემდეგ მეოთხე კურსამდე სწავლობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში (პროფესორ ა. თულაშვილის კლასში).

მეორე ხარისხის დიპლომები მიიღეს ლენინგრადის კონსერვატორიის სტუდენტმა ე. მურინამ და მოსკოველმა ვ. კამიშოვმა. ცაცა კვერნაძე და ელისო ვირსალაძე მესამე ადგილზე გამოვიდნენ, ხოლო ალ. ნიჟარაძისა და პ. დიმიტრიადის ოსტატობა ჟიურიმ საპატიო სიგელებით აღნიშნა.

მეტად სასიხარულო და მრავალმთქმელია ქართველ პიანისტ ქალთა დამსახურებული წარმატება. ცაცა კვერნაძემ დამსწრე საზოგადოებას უჩვენა შესრულების მაღალი ოსტატობა, მაღალი პროფესიული ალღო.

1959 წლის ვენის ფესტივალის ლაურეატმა ელისო ვირსალაძემ მესამე ტურში შუმანის საფორტეპიანო კონცერტის შესრულების დროს გამოავლინა მაღალი ოსტატობა და პოეტური ალღო.

• • •

სურათზე: (მარჯვნიდან) პ. დიმიტრიადი, ე. ვირსალაძე, ალ. ნიჟარაძე და ც. კვერნაძე.

ფოტო ბ. დადვაძისა.

საქართველოს პირველობა ჭადრაკში

პირველი ტური

გუშინ თბილისის რუსთველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს პირველობის გათამაშების ფინალის პირველი ტური ჭადრაკში. როგორც ვწერდით, ჩემპიონატში მონაწილეობს 20 მოჭადრაკე, მათ შორის არიან კონკურსგარეშე მონაწილენი — გროსმაისტერი რ. ხოლმოვი, საზონათაშორისო ტურნირში გასული ლ. შტეინი და ე. გუფელდი.

პირველ ტურში ყურადღების ცენტრში იდგა ა. გაგუასა და ლ. შტეინის პარტია. ლ. შტეინმა შავებით დებიუტი არასწორად გაითამაშა და უარესი პოზიცია მიიღო. შემდეგ იგი იძულებული იყო მოწინააღმდეგისათვის ეტლსა და კუში ლაზიერი შეეწირა. ა. გაგუამ რამდენიმე სვლას შემდეგ ასეთივე შეწირვით პერსპექტიული მდგომარეობა მიიღო, მაგრამ ვერ შეძლო ბოლომდე მისი გამოყენება, დაუშვა უხეში შეცდომა და გადადო პარტია წასაგებ პოზიციაში.

ე. გუფელდმა თეორიებით გ. ყალატოზიშვილის წინააღმდეგ მატერიალური უპირატესობა (2 პაიკი) მიიღო და გ. ყალატოზიშვილი დანებდა. ჯ. ბერაძემ მოუგო თბილისის ჩემპიონს ა. იზეფაჩიკოვს. გ. ეგიაშვილი-ა., ბუსლაევისა და ი. ჩიქოვან-დ. ჯანოევის პარტიებში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. რ. შეინცვიტ-რ. ხოლმოვის პარტია არ შემდგარა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ბ. გურგენიძეს ე. ნიქაელიანთან გადადებულ პარტიაში ზედეტი პაიკი აქვს, ა. ბრეიტმანი მოგების შანსებს ინარჩუნებს თ. ლომაიასთან. თ. გიორგაძე-ა. ბლაგიძისა და გ. გამრეკელი-მ. შიშოვის პარტიებში მდგომარეობა დაახლოებით თანაბარია.

დღეს შედგება მეორე ტური.

რსფსრ ხალხთა სპარტაკიადაზე

საქართველოს ზამთრის სპორტის საზეობათა ნაკრები გუნდები მიწვეულ არიან რსფსრ ხალხთა სპარტაკიადაზე, რომელიც მიმდინარე სასპორტო სეზონის ერთ-ერთი უდიდესი ასპარეზობა იქნება.

კიროვსკში რსფსრ სპორტსმენებთან ერთად გამოვლენ ჩვენი რესპუბლიკის სამთო მთიხილამურეები, გორკში — ტრამპლინიდან მხტომელები და ორკეიდელები, სვერდლოვსკში — სათხილამურო მორბენლები და მოციგურავეები.

ამ ასპარეზობის შემდეგ საქართველოს გუნდები მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშებაში, რომელიც ალმა-ატასა და ლენინგრადში მოეწყობა. ლენინგრადში ერთმანეთს პირველობას შეეცილებიან ორკეიდელები და ტრამპლინიდან მხტომელები, ალმა-ატაში — სამთო მოთხილამურეები.

საკავშირო ჩემპიონატის წინ

ტალინი და მინსკი დიდ ასპარეზობას მოელის. აქ გაიმართება ჩვენი ქვეყნის პირადი პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. ტალინში ერთმანეთს პირველობას შეეცილებიან უმჩატესი, ქვემსუბუქი, ქვესაშუალო და ქვემძიმე წონის მოჭიდავეები, ხოლო მინსკში — მჩატე, მსუბუქი, საშუალო და მძიმე წონის მოჭიდავეები.

ვინ მიიღებს საქართველოდან მონაწილეობას ტალინის ასპარეზობაში?

აქ ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას დაიცავენ ზ. შეყრილაძე, ვ. რუბაშვილი, გ. საღარაძე, შ. ლომიძე, ნ. გიგიდაშვილი და სხვ.

შეჯიბრების მთავარ მსაჯად დანიშნულია სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. კუხიანიძე.

მინსკის ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკიდან ოქროს მედლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებენ ზ. მჭედლიშვილი, ვ. არსენიანი, ა. გვიმრაძე, ჯ. მახარაძე, ს. კორძაძე, ვ. ბალავაძე, ჯ. დავლიანიძე, გ. სხირტლაძე, ო. კანდელაკი და სხვ.

შეჯიბრება ტალინში დაიწყება 23 თებერვალს, მინსკში — 2 მარტს და ოთხოთხ დღეს გაგრძელდება.

წერილი რედაქციას

დიდ მადლობას ვუძღვნი ყველა ორგანიზაციასა და პირებს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება ზურაბ ილიასძე თავზარაშვილის გარდაცვალების გამო.

ზ. ი. თავზარაშვილის ოჯახი.

ქებები, ცნობები, ფაქტები

„თბილისი" მიდის კუბაში

ამჟამად ატლანტის ოკეანეში კუბისაკენ მიდის საოკეანო გემი „თბილისი". დანიშნულების ადგილს იგი მივა მარტის პირველ რიცხვებში. ჯერჯერობით კი ლენინგრადის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური იღებს რადიოგრამებს. ყველაფერი რიგზეა, რეისი ნორმალურად მიმდინარეობს.

ნორმალურადო... მეზღვაურთა ენაზე ეს ნიშნავს, რომ არ არის ავარიები. რაც შეეხება შტორმებს, რომლებიც წლის ამ დროში მძვინვარებს ატლანტიკაში, ისინი არ ჩაითვლება, — ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

ჩვენ ვიუავით გემ „თბილისზე" ლენინგრადიდან მისი გასვლის რამდენიმე საათის წინ. გასვლა დანიშნული იყო ზუსტად ღამის 12 საათზე. ძალიან ცივიდა, ბალტიკიდან მონაბერი ქარი ზუზუნებდა ანძებში, მაგრამ გემის კაიუტებში სითბო, სინათლე და მყუდროება სუფევდა.

შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორ მიდის ახლა „თბილისი". გემზე ცხოვრება გამოზომილად მიმდინარეობს. ვახტი ცვლის ვახტს, შტურმანის კაიუტაში მაგიდაზე გადაშლილია რუკა. გემის გადახრისას მასზე აქეთ-იქით დაგორავენ ფანქრები. კაპიტნის ბოგაზე კაპიტან ა. კაჭარავას წარმოსადეგი ტანი მოჩანს. მას აცვია ტყავის განიერი პალტო, ხურავს მეზღვაურის ქუდი, თასმით ჩამოკიდებული აქვს დურბინდი. კიდევ რა შეიძლება ითქვას? ყველაფერი ჩვეულებრივია მეზღვაურის თვალსაზრისით და აღსავსეა რომანტიკით ხმელეთის მცხოვრებისათვის.

„თბილისისათვის" ეს მეორე რეისია კუბისაკენ. პირველად იგი იქ იყო გასული წლის დამლევს, როდესაც კუბელებს მიუტანა საბჭოთა ხორბლის ტვირთი. მარცვლის ნაცვლად ტრიუმში ჩატვირთულ იქნა შაქრის ნედლეული. ამჟამად „თბილისს" კუბაში მიაქვს ავტომანქანების პარტია, რომლებიც საჭიროა კუბის ეკონომიკის განვითარებისათვის. მიიტანოს ტვირთი სწრაფად და უდანაკარგოდ — ასეთი მიზანი დაისახა გემის ეკიპაჟმა, რომელიც ჩაბმულია XXII ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში. ყველა შრომითი წარმატება ასახულია კედლის გაზეთში, რომელიც რეგულარულად გამოდის გემზე. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს კედლის გაზეთი იმდენად კარგად კეთდება, რომ წარდგენილია საზღვაო გემების კედლის გაზეთების კონკურსზე.

კუბაზე მეორედ გამგზავრების წინ მეზღვაურებმა გაიხსენეს თავიანთი კუბელი ნაცნობები, რომლებსაც ისინი ალბათ ახლა კვლავ ინახულებენ.

როცა ლპარაკი საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობაზე ჩამოვარდა, ცეცხლფარეშმა ა. კუზნეცოვმა და მატროსმა ე. შემიაკინსკიმ გვიჩვენეს ძვირფასი საჩუქარი, რომელიც „თბილისის" ეკიპაჟმა კუბაზე მიიღო. ეს არის რესპუბლიკის დიდი ეროვნული დროშა, რომელსაც აწერია: „მეგობრობის ნიშნად". კასტრო რაულ. სანტ-იაგო. კუბა. 22 დეკემბერი, 60 წ.

— არასოდეს არ დაგავიწყდება ის საზეიმო დღე, — გვიამბობენ მეზღვაურები, — როდესაც ჩვენთან სტუმრად მოვიდა კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი რაულ კასტრო. ჩვენ სიხარულით მივეგებეთ მას. რაულ კასტროს გულთბილი საუბარი ჰქონდა ჩვენს კაპიტან კაჭარავასთან.

ამ სახელს სიყვარულითა და პატივისცემით წარმოთქვამენ „თბილისის" ეკიპაჟის წევრები. ოც წელზე მეტი ზღვაში! მსოფლიოს რამდენ ნავსადგურს უნახავს ეს მამაცი მეზღვაური, რამდენი შრომა, საფრთხე განუცდია, რამდენი სიმტკიცე გამოუჭერია ამ ხნის განმავლობაში! კაჭარავას — არქტიკული კაპიტნის ბიოგრაფია მართლაც რომ შესანიშნავი, გმირულია, მაგრამ, ბუნებრივია, მისგან როდი გავიგეთ ამ ბიოგრაფიის ზოგიერთი მხარე.

ლენინგრადის მისადგომებთან ზღვის არხში „თბილისი" შეხვდა ყინულმჭრელ „სიბირიაკოვს". დიდხანს აკვირდებოდა მომავალ ყინულმჭრელს კაჭარავა. რა მოგონებანი აღუძრა ამ შემთხვევითმა შეხვედრამ?

... ეს იყო დიდი სამამულო ომის დროს. კაპიტანი კაჭარავა მეთაურობდა არქტიკულ ყინულმჭრელ „სიბირიაკოვს", რომელიც შედიოდა ჩრდილოეთის საზღვაო ფლოტილიის ყინულმჭრელთა განსაკუთრებულ რაზმში. „სიბირიაკოვი" თეთრ ზღვაში მიაცილებდა გემების ქარავნებს. 1942 წლის 25 აგვისტოს კარის ზღვაში საბჭოთა ყინულმჭრელი დაედევნა ფაშისტების სახაზო გემი „ადმირალი შეერი".

„არ დავემორჩილოთ!" — ახეთი გადაწყვეტილება მიიღო ყველამ, დაწყებული კაპიტნით და დამთავრებული მატროსით. „სიბირიაკოვი" ჩაება უთანასწორო ბრძოლაში სამხედრო ხომალდთან, ხოლო როცა წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი გახდა, საბჭოთა მეზღვაურებმა გახსნეს კინგსტონები, რომ ჩაეძირათ ყინულმჭრელი.

ამ ბრძოლაში კაჭარავა მძიმედ დაიჭრა. ეკიპაჟის წევრებთან ერთად იგი ცნობადაკარგული ტყვედ ჩაუვარდა მტერს. მრავალი თვე ატარეს მეზღვაურები ფაშისტურ დილეგებში, ყოველდღე მოელოდნენ ისინი სიკვდილს. გაქცევის ცდისათვის სამი მეზღვაური, მათ შორის კაპიტანი, საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდნენ. ისინი უკვე მიჰყავდათ დასახვრეტად, როცა გზაზე საბჭოთა ტანკები გამოჩნდნენ. რამდენიმე წუთიც, და ისინი თავისუფლები იყვნენ.

ჩაძირული ლეგენდარული „სიბირიაკოვის" ხსოვნის აღსანიშნავად მისი სახელი ახლა მიეკუთვნა სხვა ყინულმჭრელს, რომელიც შეხვდა „თბილისს".

„თბილისის" ეკიპაჟი სამართლიანად ამაყობს თავისი კაპიტნით.

— კაჭარავასთან ერთად უკვე თორმეტი წელია დავდივარ ზღვაში, — ამბობს გ. სვეპარსკი. — იგი მამაცი, მცოდნე კაპიტანია, კარგი ამხანაგია.

ასეთ აზრს იზიარებს ყველა. მეგობრობის გემი „თბილისი" ხერავს ოკეანეს. ვახტისაგან თავისუფალი მეზღვაურები სხვადასხვანაირად ატარებენ დროს, ბევრი მათგანი სწავლობს, სწავლობს კაჭარავაც. მალე იგი მიიღებს ს. ო. მაკაროვის სახელობის უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო სასწავლებლის დამთავრების დიპლომსაც. შრომასა და სწავლაში იბრძვიან მეზღვაურები პარტიის XXII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

ო. კარიშევი,
„კომუნისტის" კორ.

ქ. ლენინგრადი.



ა. კაჭარავა.

• • •

ამინდი

18 და 19 თებერვალს საქართველოში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით ნალექი, ცვალებადი მიმართულების სუსტი, ზომიერამდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1-5, დღისით 4-9 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ნალექი და ნისლი, ცვალებადი მიმართულების სუსტი, ზომიერამდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 3-7 გრადუსი სითბო.

საინტერესო შეხვედრა

ტყიბული. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტის მუშა ახალგაზრდობის სკოლის მოსწავლეებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს უმაღლესი სასწავლებლების იმ მსმენელებს, რომლებმაც ამ 3-4 წლის წინათ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაამთავრეს მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლის სრული კურსი და მიიღეს სამწიფის ატესტატი.

შეხვედრის მონაწილეებმა მოისმინეს კომკავშირის ტყიბულის რაიკომის პირველი მდივნის ი. გოგიას მოხსენება თემაზე: „ახალგაზრდობა იწრთობა შრომასა და სწავლაში". მიწისქვეშა სანგრევებში შრომისა და თავდადებული სწავლის ურთიერთი შეხამებაზე ილაპარაკეს მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა, ქვანახშირის მონგრევის ოსტატებმა ე. გაბადაძემ და რ. ნერგაძემ.

მოსწავლეები გულთბილად შეხვდნენ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების IV კურსის სტუდენტს, ნოვატორ მეშახტეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ივ. ორჯონიკიძეს.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

მახარაძელთა დელეგაცია გენიჩესკში ჩავიდა

მახარაძე. (საკ. კორ.). ამ დღეებში უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონში გაემგზავრა მახარაძის რაიონის მშრომელთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან კომკავშირის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი რ. დონაძე (დელეგაციის ხელმძღვანელი), გურიანთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. ბელიქანიძე, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ანასეულის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ტ. მგელაძე, ვეტერანი ლ. სოსელია, ბაღდადის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე ლ. ხომერიკი.

მახარაძელები გენიჩესკში რამდენიმე დღეს დარჩებიან, მონაწილეობას მიიღებენ გენიჩესკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირში, გაეცნობიან ამ ორ რაიონს შორის 1960 წელს შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების შედეგებს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

17 თებერვალი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — აიდა (მე-13 აბონ. მე-6 წარმ.), **რუსთველის სახელობის** — ოტელო, **მარჯანიშვილის სახელობის**—მე, ბებია, ილიკო და ილარიონი, **გრიბოედოვის სახელობის** — ქარიშხალი (მე-12 აბონ. მე-5 წარმ.), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — უცნაური სტუმრები (რკინიგზელთა სახლში), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — დაკარგული დრო (აბონ. № 20., 4 ს.), ნევის შევარდენი (აბონ. № 53. 7 ს.), **თოჯინების ქართული** — ბურატინოს თავგადასავალი (11 ს. და 4 ს.), **ფილარმონიის საზამთრო** — საესტრადო ანსამბლი ტ. ახმედოვის ხელმძღვანელობით.

ტელევიზია: 18.00 — უფროსკლასელთათვის — „აქ ეუფლებიან პროფესიასა" (რეპორტაჟი თბილისის მე-7 სამკერვალო ფაბრიკის მოსწავლეთა საამქროდან), 18.20 — ნოკლემატრაჟიანი ფილმი, 19.00 — პროპაგანდისტის საუბარი, 19.15 — საესტრადო კინოკონცერტი, 20.15 — კინოჟურნალი, 20.25 — ახალი ამბები, 20.40 — მხატვრული ფილმი — თორმეტი ქალის ზღაპარი.

კენედის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 16 თებერვალი. საკადესის კორესპონდენტი ვ. სალათელიანი იუწყება:

გუშინ აქ გაიმართა პრეზიდენტ კენედის მორიგი პრეს-კონფერენცია. პრეზიდენტმა პრეს-კონფერენცია დაიწყო იმით, რომ გააკეთა განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ კონგოში. კენედიმ თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სტიგენსონმა „სრულად და ნათლად გამოხატა ამერიკის მთავრობის დამოკიდებულება" იმ წინადადებებისადმი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა უშიშროების საბჭოს გუშინდელ სხდომაზე.

კენედიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ კვლავაც მოითხოვონ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები იყვნენ კონგოში და რომ ერთადერთი კანონიერი მთავრობა, რომელსაც შეუძლია ილაპარაკოს მთელი კონგოს სახელით, ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, არის მთავრობა, რომელიც პრეზიდენტმა კასავუბუმ შეადგინა.

შემდეგ პრეზიდენტმა გააკეთა ვრცელი განცხადება იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „უაღრესად სერიოზულად არიან შეშფოთებული უმუშევრობის პრობლემით", და კვლავ ჩამოთვალა ის ღონისძიებანი, რომლებიც ამერიკის მთავრობამ უკვე მიიღო უმუშევრობის შემცირებისათვის.

კორესპონდენტებმა მრავალი შეკითხვა მისცეს პრეზიდენტს, რომელთა არსი ის იყო, ხომ არ შეუშლის კონგოს საკითხში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაკავებული საწინააღმდეგო პოზიციები ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომ მოწესრიგებას და, კერძოდ, წარმატებით მოლაპარაკებას განიარაღების დარგში.

უპასუხა რა ამ შეკითხვებზე, კენედიმ, კერძოდ, განაცხადა: ვიმედოვნებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კ